

ქართული  
ზიგლიოთეკა

# მეცემსი

ო. ვ. ი. ც. ი. ა. ლ. შ. რ. ი. ბ. ა. ნ. მ. ო. ვ. ი. ლ. მ. ბ. ა.

## უმაღლესი ჯილდოები.

ბანკინგბანი უფ. სინოდისა.


ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდის ობერ-პროკურორის ყოვლად უქვეშევრდომილესი მოხსენებებისა, თანახმად უწმიდესი სინოდის დადგენილობისა, ამა მაისის 6, უმოწყალესად ინება დაჯილდოება სასულიერო პირთა წარჩინების ქვემოთ აღნიშნული ნიშნებითა:

### ა) ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის:

საქართველოს საეკსარხოსოში ა) წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით: რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა არქიმანდრიტი სერაფიმი; ელიზავეტოლის ალექსანდრე-ნეველის სობოროს დეკანოზი მიხეილ მძინაროვი; ბ) წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენითა: სუჯუნის წმიდა გიორგის ეკლესიის, გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, დეკანოზი თეოდორე ზომტარია; გ) წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენითა—ქ. ბაქოს, ნიკოლოზის ტაძრის დეკანოზი ალექსანდრე იუნიცკი; ინსპექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა, ბერ-მონაზონი გერპოვენი.

I. 3.—9 აპრილიდან 1897 წ., № 1231, დაჯილდოებისათვის სასულიერო წოდების პირთა სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის:

უქაზისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უუწმიდესმა უუმართებულესმა სინოდმა მოისმინა: წარდგინებანი ეპარქიების მღვდელ-მთავრებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდლოების გამგის დაჯილდოებისათვის, მათდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა, სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. **ბრძანეს:** საფუძველთა ზედა მოხდენილ მსჯელობათა, უწმ. სინოდი განაწესებს: ამასთანავე წარმოგზავნილ სიასა შინა მოხსენებანი სასულიერო პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სიასა შინა აღნიშნული ჯილდოებით და ეპარქიის მღვდელ-მთავრების, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდლოების გამგის გამოსაცხადებლად დაჯილდოებულ პირთა სია დაბეჭდილ იქმნეს „საეკლესიო უწყებებში“.







სია სასულიერო წოდების ჰირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დაბადების დღეს სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საეკლესიოში: **დეკანოზობ. ს. ხაჩასხით** — ახალ დაბადებულ მთავარ ანგელოზის ეკლესიის, გურია-სამეგრელოის ეპარქიისა, მღვდელი ნესტორ აღშიბაია; ქართლის ეპარქიის, სოფლის ვარდისუბნის ეკლესიის მღვდელი ზაქარია მთვარელოვი; ელიზავეტინსკის სოფლის ეკლესიის, ქართლის ეპარქიისა, მღვდელი დიმიტრი მახათაძე; **ბ) მკრდ-ს ჯვრათა, უწმიდესი სინოდისაგან ბოძებულთა** — ექსარხოსის სასახლის ეკონომოსი, მღვდელმონაზონი არისტარხი; ხაზინადარი მიძინების დრანდის მონასტრისა, სუხუმის ეპარქიისა, მღვდელმონაზონი ალკვი; ამიერ კავკასიის რკინის გზის მღვდელი წმ. კონსტანტინე და ელენას ეკლესიისა იროდიონ ნანაბოვი; ქ. თფილისის, კალოუბნის მღვდლის-მშობლის ეკლესიის მღვდელი მათე მონასელიძე; ქართლის ეპარქიის, სოფელ ბოკოცინის ეკლესიის მღვდელი გიორგი ასათიანი; სამურძაყანოს მაზრის პირველი ატობავესკის სოფლის ეკლესიის, სუხუმის ეპარქიისა, მღვდელი სპირიდონ რუნიც; იმერეთის ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფელ სარეკის ეკლესიის მღვდელი აბესალომ ტყემალაძე; ამავე ეპარქიის, ლეჩხუმის მაზრის, სოფელ ჯოშხის ეკლესიის მღვდელი ანტონ ქურციკიძე; გურია-სამეგ. ეპარქიისა, სოფელ საქილაოს-ილოარის ეკლესიის მღვდელი იოანე გრიგოლია; ამავე ეპარქიის, ბანძა-შაურიკრის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ანტონ კეკელია; **გ) კამილაგკით**: გურია-სამეგრელოის ეპარქიის, ბათუმის საკრებულო ტაძრის დეკანოზი ალექსანდრე რაღვივიანი; ქ. თბილისის, მიხაილოვის საავადმყოფოს ეკლესიის მღვდელი ვასილ კარბელაოვი; ქართლის ეპარქიის, სოფელ ენისელის ეკლესიის მღვდელი სიმონ ჯაჯანიძე; ამავე ეპარქიის სოფელ იკალთოს ეკლესიის მღვდელი იოანე მრევლოვი; ამავე ეპარქიის სოფელ ოზელნის ეკლესიის მღვდელი იოსებ იაშვილი; ამავე ეპარქიის

სოფელ ჩრივის ეკლესიის მღვდელი გრიგოლი ქოქოვი; ქ. ბაქოს მაცხოვრის-ფერისცვალების ეკლესიის, რომელიც იმყოფება ბაბაგვის და კ. ქარხანასთან, მღვდელი ალექსანდრე გრიგოვი; სუხუმის საკრებულო ტაძრის მღვდელი ვასილი იასტრუბოვი; ამავე ეპარქიის, სოფელ ნიკოლავსკისა ეკლესიის მღვდელი ლავრენტი ჯიქია; ამავე ეპარქიის, სოფელ ადლერის ეკლესიის შავი ზღვის გუბერნიისა, მღვდელი კოსმა ზლატორუნსკი; ამავე ეპარქიის სოფელ პახულანის, ზუგდიდის მაზრისა, მღვდელი ესტატე გოგონია; გურია-სამეგრელოის ეპარქიის, მეოთხე ხარგინკის ვნებათა ეკლესიის, მღვდელი ისიდორე ბერაია; იმერეთის ეპარქ. ლეჩხუმის მაზრის, სოფელ ლაილაშის ეკლესიის მღვდელი რომანოზ გუდბანი; ამავე ეპარქიის სვანეთის საბოქაულოს სოფელ ლატალის ეკლესიის მღვდელი გაიოზ ჯიმისტარიშვილი; ამავე ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფელ ვანის ეკლესიის მღვდელი იოსებ ტაბაბაძე; ამავე ეპარქიის, რაქის მაზრის, სოფელ მოტყეერის ეკლესიის მღვდელი ხარიტონ მიგაუტაძე; ამავე ეპარქიის შორაპნის მაზრის, სოფელ სვერის ეკლესიის მღვდელი ლენტორ წერეთელი; ამავე ეპარქიის, ქუთ. მაზრის, სოფელ სვირის ეკლესიის მღვდელი სიმონ ჯუდელი; ამავე ეპარქიის, ქუთ. მაზრის სოფელ მაიდანის ეკლესიის მღვდელი სიმონ მიქაძე; **დ) უუწმიდესი სინოდის კურთხევითა განაძტითურთ** — შუამთის მონასტრის და ალავერდის საკრებულო ტაძრის, თელავის მაზრის, ბერ მონაზონი ნიკიფორე; გურია-სამეგრელოის ეპარქიის ცარხხურის მიხაილ თავარ ანგელოზის ეკლესიის მღვდელი გიორგი თოდუა; ამავე ეპარქიის ტაისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი მაქსიმე თოდუა; ე) უწ. სინოდის კურთხევითა უგრამოტოდ — გურია-სამეგ. ეპარქიის, გვლეკარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ანტონ ცინცაძე.







### უძალესი ჯილდო

ხელმწიფე იმპერატორმა, ანნას ორდენის საკავალერო საბჭოს ყოვლად უქვეშევრდომილესის მოხსენებისამებრ, ყოვლად-უმოწყალესად ინება ვ თებერვალს ამა წლისას, ხსენებულის ორდენის მესამე ხარისხის მიცემა ქუთაისის სასულ. სასწავლებლის მასწავლებლის, სტატსკი სოვეტნიკის იოსებ სანებდიძისათვის.

### უწმიდესი სინოდის ბრძანება

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ არს 4 თებერვალს ამა წლისა, ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ლარბი მოსწავლეთა შემწეობის სახოგადოების წესდებულება.

უწმიდესის სინოდის ბრძანებით, 19 მარტიდან ამა წლისა მე-1866 ნომრით თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, მღვდელ-მონაზონი დიმიტრი დანიშნულ არს ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად.

### ვააკის მთავრობისაგან დაჯილდოება.

მათი ყოვლად უსამღვდელოესობის ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონისაგან ერთგული და სასარგებლო სამსახურისათვის დაჯილდოებულნი არიან ილმის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გაიოზ ძაღრაძე, შრომის მიძინების ეკლესიისა მღვდელი სამსონ ცქატიშვილი, შრომის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი სერაფიონ ჩახლაძე, ბოსლევის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი სპირიდონ სეხააშვილი, წიფის წმ. გიორგის ეკლესიისა—ლევო გაჩეჩაძე, ვერტყვილის ღვთისმშობლის ეკლესიისა—მელქისედეკ აბესაძე.

### იპრაეთის ვაკაჩიის კანცელარიიდან.

1) შესვლა კანცელარიაში გარკვეულ ვიზიტთა, კანცელარიის მდივნის შეუტეობლად და ნება დაურთველად, აღკრძალულა.

2) უოველ გვარი ცნობებისა და საჭიროებისათვის მოხვედრის უნდა მიიქცნენ ამ კანცელარიის წინა მისაღებ ოთახში მეოფე მოსამსახურესთან; (დეურთან) ეს უკანასკნელი კი მოახსენებს მდივანს ჯეროვანის განკარგულების მოსახდენელად.

3) ცნობები, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი, აგრეთვე მოწმობანი და ვიზები სხვა-და-სხვა საბუთებთაგან მიეცემათ მოხვედრითა მხოლოდ იმ საქმეებიდან, რომლებიც შეეხებიან ვიზიტად მათ, ანუ მათ მარწმუნებელთა. სხვა საქმეებთაგან ცნობანი, მოწმობანი და ვიზები მიეცემა მოხვედრითა მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოადგენენ მოწმობას იმა დაწესებულებათაგან, სადაც ითხოვება მათი წარდგენა იქვე წარმოებულ საქმეთათვის.

4) მოხვედრებს შეუძლიათ მიიღონ ცნობანი უოველ სამსახურის დღეებში დღის ცხრა საათიდან ნაშუადღევის მეორე საათის გასვლამდის, კანცელარიის მდივნის ნებადართვით.

5) სასულიერო უწყებაში მოსამსახურე ვიზიტა, გარდა ბლადოჩინთა, სასულიერო გამომძიებელთა, მონასტრის წინამძღვართა და ქ. ქუთაისში მოსამსახურეთა, შეუძლიათ სამსახურის მიტოვება და კანცელარიაში გამოცხადება მხოლოდ ეპარქიის, ანუ ადგილობრივი ბლადოჩინის ნებადართვით; ვინაც ესეთი



ნებადართვა არ აღმოუჩნდება, მათ ზედ კანცელარის მოსამსახურე (დეკურნი) ქალაქლით მოსახსენებს ადგილობრითი ეპარქიის მთავრობას, როგორც 1890 წ. გამოცემის XIV ტ. კანონთა კრების 54 მუხლის და ადგილობრით ეპარქიის მთავრობის 1891 წ. 13 დეკემბრიდან გაკზავნილ ცირკულიარის დამარტყვევლთა ზედა.

6) უოველ გვარი დავა და განმარტებანი კერძო ზირთა ეპარხიის კანცელარიაში მოსამსახურეებთან ეპარქიის მთავრობის რეზოლიუციასა და განკარგულების შესახებ ფიცხლად აღკრძალულია.

7) მთხოვნელებს ზირის-ზირ ხელში მიეცემათ კანცელარიიდან მხოლოდ მათგან მოთხოვნილი ცნობები, მოწმობები, ზირები და საზოგადოთ ქალაქლები, რომელნიც მათ სახელზე იქმნებიან დამსადებულნი გასაკზავნად; სხვა ეველა ქალაქლები კანცელარიიდან გაიკზავნება ფოსტით, ანუ საგანგებოთ ამისათვის დანიშნული კაციის ხელით.

8) უოველი საქმის შესახებ, რომელიც სწარმოებს, ანუ შემდეგში წარმოებულ იქმნება კანცელარიაში, მთხოვნელი უნდა მიიქცეს, ანუ ადგილობრივ მღვდელ-მთავრისადმი, ანუ ეპარქიის კანცელარიაში, ზემო ნახევნები წესის დაცვით, და არა კანცელარიაში მოსამსახურეებთან ბინაზე, ანუ ქუჩებში და საზოგადოდ კარმე კანცელარიისა.

9) მთხოვნელებს, შემდეგ ნათხოვნი ცნობების და საბუთების მიღებისა, წინადადება ეძლევათ განათავისუფლონ მისაღები ოთახი და საზოგადოდ არ უციდიდენ იმისთანა საქმეების აღსრულებას და გადაწვეტას, რომელთა შესახებ ქალაქლები მათ ზირ-და-ზირ ხელში არ მიეცემათ.

10 კანცელარიაში მსვლელობა, კანართობლად, თავის შესაქცევად, და ოთახებში სასეირნოდ, აგრეთვე მოსამსახურე ზირთან სამუსაიფოდ და თავშესაქცევარი ზღაპრებით და ამბებით მოსამსახურეების კანცელარიად, ეველასათვის აღკრძალულია.


11) ღერბის მარკები, და სხვა უოველგვარი საბუთები მიიღებიან კანცელარიაში მხოლოდ რაზორტით, ოტნოშენით, კანცხადებით, თხოვნით და სხვა ამ გვარივე ქალაქლით.

12) როცა მღივანი არ იმყოფება კანცელარიაში, მაშინ უოველ განკარგულებას აღნიშნული წესწობილების დასაცველად ახდენს მისი თანამემწე.

მღივანი იმერეთის საეპარქიო

კანცელარიისა ერ. თუთბერიძე

თანამემწის მაგიერი ნესტორ წერეთელი.





# მზესამოსი

კრისტული  
მედიკონი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
ჰვოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიძიენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 9-10 1883—1897 1—30 მაისი


## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ოფიციალური განყოფილება:** უმაღლესი ჯილდოები.—იმერეთის ეპარქიის კანცელარიისაგან.  
**სალიტერატურო განყოფილება:** ალექსანდრე ეპისკოპოსის 35 წლის იუბილეს გამო.—არ არის პატრიარხის წერილი!—ჩვენი სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა საყურადღებოდ.—მთავარ-ანგელოსთა ტაძარი ქუთაისში.—შენიშვნა.—ქ-ნ დარია ფაღვას წერილისა გამო —ახალი ამბები და შენიშვნები,—მოვალეობა თუ სიკვარული?—სიტყვა, თქმული ქვაშვეთის ეკკლესიაში თ. ნიკოლოზ ზ. ჭავჭავაძის დასაფლავებაზე.  
**სწავლა და მცენიერება ქრისტიანობიკო სარწმუნოებასა და კეთილ-ვნეობაზე:** ხმა მოძღვრისა სამწყსო-სადმი; საუბარი მეექვსე. — განცხადებანი.

### ალექსანდრე ეპისკოპოსის 35 წლის იუბილეს გამო.

დღევანდელ დღეს ქართველ საზაგადოების ყურადღება მიპყრობილია წმიდა შიო მღვიმელის დიდებულ ლაფრისაკენ. ჩვენი ეკკლესია იქ იხსენებს და აღიდებს თავის ერთგულ წარმომადგენელს, ათცამეტთა მამათაგანს, წმიდა შიოს, ხოლო ჩვენი საზოგადოება მადლობითა და სიხარულით იგონებს შიო მღვიმის მოწინააღმდეგარს, სახელოვანს

მღვდელთ მთავარს ალექსანდრეს მისის ოცდა-თხუთმეტ წლოვან საეპისკოპოსო მოღვაწეობისათვის. საზოგადოებას ფიქრად ჰქონდა ბრწყინვალეობითა და დიდებით ედღესასწაულა ხანგრძლივი მოღვაწეობა ჩვენი სასიკადულო მღვდელთ-მთავრისა, მაგრამ უნდა მოგეხსენებოდეთ მაღალი ზნე ამ მსკოვანის ეპისკოპოსისა: ქვეყნიერი „ამაოთა ამაოება“ იმის სპეტაკს გულს ვერ ეკარება, სააქაო ქებათა-ქება და ხოტბა იმას სიამოვნებით ვერ ატკობს და ეს იმიტომ, რომ მისი სული და გული მხოლოდ მაღალსა და ზეციურს ესწრათის და შეპტრფის. ეპისკოპოსი





აღექსანდრე ამოად-კი არ მოერიდა საიუბილეო დღესასწაულს, უმიზეზოდ როდი გამოაცხადა, მილოცვას და ნახვას არ ვსაჭიროებ და ჩემის მფარველის შიოს უდაბნოში მივდივარ, რათა ვვედრო, რომ მეოხ ეყოს ღვთისა წინაშე ქვეყნიერებასაო. დიად, საიუბილეო დღესასწაულს განშორდა და მილოცვასა და ზეიმს ვედრება და ლოცვა ამჯობინა მრისხანე და ყრუ უდაბნოში!.. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ეს ამბავიც საკმაოდ ნათელს ჰფენს ჩვენის მცხოვრების მღვდელთ-მთავრის მალაღს ზნესა და ბუნებასა. ცხადია, რომ სააქაო დიდება და პატივი იმისთვის წარმავალი და წუთიერია და ჩვენის მამათ-მთავრის სიამოვნებას ქვეყნისათვის მეოხება და სავედრებელი ლოცვა შეადგენს.

ჩვენი ძველი მღვდელთ-მთავარი და ეპისკოპოსი სწორედ ასეთი ზნისანი იყვნენ. იმათი ფიქრი და გრძობა ქვეყნის დიდებას დასტრიალებდა და ამის გარეშე ყოველივე მისწრაფება და წადილი ფუჭი და ამო იყო. იმ ნეტარ-ხსენებულ დროს ეკლესია და სამშობლო ერთსა და იმავე საგანს ჰნიშნავდა, ქართველობა და ქრისტიანობა ერთსა და იმავე ცნებას წარმოადგენდა. თითოეული მონასტერი და ლავრა წმიდა და საღმთო ადგილად ითვლებოდა და ამ ადგილას გაისმოდა ღვთიური, ზეციური ღაღადი სამშობლოს სიყვარულისა, მისის სიკეთისა და ბედნიერებისა. ხოლო მონასტრისა და ლავრის წინამძღვარი, მღვდელთ-მთავარი და ეპისკოპოსი პირველ მამულიშვილად იყო აღიარებული, იგი მოწინავე რაზმში იდგა, კვერთხითა და ჯვრით ებრძოდა მტერსა, ლოცვათა და ვედრებით სასოებასა და ნუგეშს ჰფენდა ქართველობასა.


სამწუხაროდ, უღმობელმა დროთა ბრუნვამ სრულიად შესცვალა საქართველოს მონასტერნი და ლავრანი. ამასთანავე თითქო დროებით განჰქრა და მოისპო კიდევ ის მაღალი ზნე, ის მთავარი აზრი და წმიდა გრძობა, რომელიც სხივოსანის შარავანდედით ამკობდა ძველთა ბერთა და მონაზონთა სამშობლოს წინაშე. ბოლოს, მტერთა ძლევით, მონასტერნი და ლავრანი დაცალიერდნენ და მათნი მსახურნიც ზნითა და ქველობით, თითქო არ იყოს, დაკნინდნენ. ღვიმესა და მაღაროში მოღვაწეობა თითქმის აღარავის იზიდავდა, ხოლო თუ ვინმე ამ მოღვაწეობას ხელს კიდევ ჰკიდებდა, იგი წარსულის ზნესა, მცნებასა და აღთქმასა სავსებით აღარ მის-

დევდა. უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი ზნე, იგი აღთქმა და მცნება ეკლესიისა და სამშობლოს ერთობიანგან მომდინარეობდა, სარწმუნოებისა და სამეფოს კავშირს წარმოადგენდა.

ამ ძველ სამონაზნო ზნისა და მცნება-აღთქმის ბრწყინვალე წარმომადგენლად დარჩა ჩვენს დროს სახელოვანი ეპისკოპოსი აღექსანდრე. იმისის აზრით და შეხედულობით, ეკლესია და სამშობლო განუყოფელი და განუცალკევებელია, ეკლესიის კეთილდღეობა ქვეყნის ბედნიერებაა, მონასტრისა და ლავრის აღდგენა და აყვავება ერისა და საზოგადოების წარმატება და წინსვლელიობაა. ამიტომაც ჩვენი თავ მოსაწონებელი მღვდელთ-მთავარი ასე სწუხს და გოდებს მონასტერთა და ლავრათა დაქცევას და დაცალიერებას და ასეთის სამაგალითო სიმხნითა და სიბეჯითითა სცდილობს და ჰზრუნავს იმათ განახლებისა და აღორძინებისათვის. არც ერთს ჩვენს ახალ დროის მღვდელთ-მთავარს და ეპისკოპოსს არ მიუძღვის ამ შემთხვევაში ისეთი ღვაწლი, როგორც ყოველად სამღვდელოს აღექსანდრეს და ეს იმ მიზეზის გამო, რომ ისე ღრმად არვის აქვს გულში დანერგილი ზემოდ აღნიშნული ძველი ზნე და მცნება-აღთქმა, როგორაც იმას ამ მხრივ ეპისკოპოსი აღექსანდრე თითქო ცალკე და მარტო სდგას და თავისს თანამედროვეთა შორის თითქმის თანასწორი არავინ ჰყავსო.

იმის მეოხებით და შრომითა საქართველოს ეკლესიასა და სასულიერო წოდებას სულ სხვა დრო დაუდგა. აღექსანდრე ეპისკოპოსმა თითქო ახალი მიმართულება შეჰქმნა, ახალი ხანა დაარსა საეკლესიო ცხოვრებაში. ეს ახლობა ძველის აღდგენით დაიწყო. მოგეხსენებათ ამ საუკუნის დამდევს დროთა და ჟამთა ვითარებამ ისეთი გავლენა იქონია, რომ ბერად აღკვეცა და მონაზონობა თითქმის უსარგებლო და უნაყოფო სამსახურად იქმნა აღიარებული. დიდებულნი მონასტერნი და ლავრანი უპატრონოდ დარჩნენ. წინად, ძველ დროს, ეს მონასტერნი და ლავრანი სავსენი იყვნენ დიდის გვარისა და მაღლის შთამამავლობის წარმომადგენლებით, ხოლო ახლა მდაბიო წოდების კაციც-კი არა ჰკადრულობდა ბერობასა და მონაზონობასა. საეკლესიო სწავლა და განათლება დაეცა და, რასაკვირველია, ამის გამო სარწმუნოებაც დასუსტდა. ასეთი დიად სამწუხარო მდგომარეობა საჭიროებდა დიდს მხნეობას და ესეთი






მხნეობა იტვირთა სახელოვანმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელიც სიტყვითა და საქმით სულ იმას ჰქადაგებდა და სცდილობდა, რომ ბერობა და მონაზონობა გაემრავლებინა ლავრა-მონასტრებში და ამ გზით სარწმუნოებრივი საქმე წარემართა და წარემატნა. მართლაც და, იმისი ცდა და ღალადი უნაყოფოდ არ დარჩა და არა ერთი და ორი მონასტერი და ტაძარი განახლდა, არა ერთი და ორი ღვთის მოსავი ბერი და ერის მეოხე მონაზონი შექმნა საქართველოს. რასაკვირველია, განახლებულ მონასტრებსა და ტაძრებში ჯერ კიდევ არ ანათებს ლამაზი სწავლისა, როგორც ეს ძველად იყო, მაგრამ საქმე დაწყებაა. ვინც რა გინდა სთქვას, დაუწუნოს, თუ მოუწონოს ღვაწლი მისნი — იმას-კი ვერვინ უარჰყოფს, რომ ყოველივე ეს მისის გულითადის რწმენის საქმეა და ამისათვის ღირსიც პატივით ხსენებისა.

სახელოვანი ეპისკოპოსი მონასტერთა და ლავრათა განახლებას არ დასჯერდა და თავისი ყურადღება სხვა საქმესაც მიაპრო, იქნება უფრო მეტად საჭიროსა და უფრო მეტად სასარგებლოსა. როგორც ზემოდ ვთქვით, დროთა დაჟამთა ვითარებამ ერთობ სწავლა და განათლებაც შეაფერხა და თითქმის განსაცდელშიაც ჩააგდო. მართლმონასტერთა და ლავრათა განახლება არა კმარადა და სარწმუნოებასაც ვერ ააღორძინებდა და განამტკიცებდა, უკეთუ ამ საქმეს ზედ არ დაერთოდა საეკლესიო სწავლა და განათლება. მთელი ჩვენი ძველი საეკლესიო ისტორია იმას ჰმოწმობს, რომ ტურფა მონასტერს და ტაძარს ამშვენებდა განათლებული და განვითარებული ეკლესიის მსახური და მხოლოდ ამ მიზეზის გამო ასე ჰბრწყინავდა მართლმადიდებლობა საქართველოში. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ამ ცხოველმა წარმომადგენელმა დიდებულის წარსულისამ, პირველადვე შეიგნო, თუ რა საჭიროა სათანადო სწავლა და განათლება ეკლესიის მსახურისათვის და ხელი შეუწყო ამ დიდ საქმეს. ამ აზრით აღბეჭდა საღვთისმეტყველო თხზულებანი ანტონ ქათალიკოსისა და ქადაგებანი ამბროსი ნეკრესელისა. მაგრამ საყურადღებო და აღსანიშნავი უფრო ისაა, რომ ყოველად სამღვდელთა ალექსანდრემ სწავლა და განათლება საეროვნო საფუძველზე დაამყარა და სავალდებულოდ დააწესა, რომ სასულიერო წოდების მსახურმა უეჭველად იცოდეს სამშობლო საეკლესიო ისტორია. უეჭვე-

ლია, ეს სასულიერო სწავლა და განათლება, საეროვნო ნიადაგზედ აღმოცენილი, უფრო განძობიერდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე მარტო სახელოვანის ქართველ მღვდელ-მთავრის ხელთ არ არის. საეკლესიო გალობასაც ასეთივე ღვაწლი დასდო და თუ ახლა ქართველი სამწყსო ასე სტკება საეკლესიო სიმების ჟღერით და გალობის მომხიბლავის ხმით, მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ჩვენის ძვირფასის ყოველად სამღვდელთა, რომელსაც ჩვენი ახალი საეკლესიო ისტორია და შთამამავლობა ყველა ამ საქვეყნო ღვაწლისათვის ალექსანდრე აღმადგენელს უწოდებს.

კერძო ცხოვრება და სამსახური სახელოვანის ეპისკოპოსისა ცალკე წერილად არის დაბეჭდილი ღვთაუნდელ ნომერში. ჩვენ მხოლოდ აქ აღვნიშნავთ რომ დიდი საყურადღებო და შესანიშნავი მოციქულებრივი მოღვაწეობა ალექსანდრე ეპისკოპოსისა, რომელმაც ქრისტიანობა განავრცელა და განამტკიცა აფხაზეთში და ნათელი ქეშმარიტებისა მოჰფინა სამშობლოს სხვა და სხვა შორეულს კუთხეს. მისი მოღვაწეობა მრავალგვარი და მრავალ ფეროვანი იყო და ეს გარემოება ამტკიცებს მღვდელ-მთავრის სულისა და გულის სიძლიერეს და სიღიადეს. ასეთისავე სიღიადითა და სიძლიერით აღბეჭდილია მისი ზნეობითი ბუნება და პირადი მისი ხასიათი. ასეთი უშიშარი და გულადი მთქმელი და მხილებელი დიდი ხანია არა ჰყოლია ჩვენს სამშობლოს. სადაც და ვისთანაც ჯერ არს, იგი მხილებას არ უფრთხის, რისხვასა და მსჯავრს არა ჰზოგავს. ეს ჩვეულებაც ცხადათ მოგვაგონებს ძველის ღრის მღვდელ-მთავარს და ეპისკოპოსს, რომელიც შეუღრკელი და შეუპოვარი მცველი იყო საეროვნო ზნეობისა და ქველობისა. დიდი, სახელოვანი მწყემს-მთავარი ალექსანდრე ცხოველი სურათია ძველ ბერ-მონაზონობისა და ღმერთმა ინებოს, რომ მისი მირონცხებულები მარჯვენა კიდევ დიდხანს მადლს ჰფენდეს სამშობლოს, რომელსაც ასე ღრმად უყვარს იგი, ვითარცა თავისი სახელოვანი შვილი და სასიქადულო მღვდელ-მთავარი. („ივერია“)





### არ არის ჰატრიარხის წერილი.

ამას წინეთ ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და მკითხა: «ამ კვირას შეიძლება თუ არა, ბატონო, გვირგვინის კურთხევა?». მე ვნახე, რომ აღნიშნულ დღეს გვირგვინის კურთხევას არაფერი არ დააბრკოლებდა და უთხარი შეიძლება-თქო. ამ კაცმა ჩემს პასუხზე მომიგო: „ამ დღეს გვირგვინის კურთხევა არ შეიძლება, რადგან ამ დღეს მთვარე ამდენი და ამდენი დღის იქნება და ეს დღე, როგორც კალენდრებშია ცხვენია, კვიმატიანი დღეა და ამ კვიმატიან დღეს ყოლიფერი დაწყებული და გაკეთებული საქმე უბედურათ დასრულდება“-ო.

ძლიერ შემაწუხა ამ კაცის მსჯელობამ და რა არ მათექრებინა ეხლანდელი კალენდრების ბრალიან და უბრალო გამომცემლებზე, ვილაცა ახატელოვებსა და მდივანოვებზე, რომელთაც თუმცა სრულებით არა გაგებათ რა კალენდრების შედგენასა და წერისა, მაგრამ მაინც ბეჭდავენ, რე ღმერთმან იცის რაებს არ ავრცელებენ ხალხში და რა ცრუ მორწმუნეობას. ზოგს, მაგალითებრ, სომეხს მდივანოვს და ბ. გუნიას თავისი კალენდრები სხვა-და-სხვა პირთა სალანძღავ იარაღად გაუხდიათ და, რამდენიც სურთ, ილანძღვებიან. მათ ეს ლანძღვა-გინება საკალენდრო ცნობები ჰგონიათ. ცენზურასაც ხომ სრულებით დავიწყებული აქვს, რომ კალენდრებში ლანძღვა-გინების ბეჭდვა არ შეიძლება.


როდესაც ზოგიერთი უვიცი კაცებისაგან შედგენილი კალენდრები ასეთ ცრუ მორწმუნეობას ფენენ ჩვენ გაუნათლებელ ხალხში, ამავე დროს ვილაც უგზურები და სულელები ავრცელებენ ხალხში რაღაცა ხელნაწერ წერილს, რომელიც, ვითომც, იერუსალიმის პატრიარქს ზეციდან მიუღია ხალხში საქადაგებლად. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთ უსწავლელ მღვდლებს და, სამწუხაროდ, სემინარიელებსაც, ეს წერილი ეკლესიაში წაუკითხავსთ სალხისათვის. წერილის შინაარს ძლიერ ცუდად უმოქმედნია ხალხზე. ამ უხიაგი წერილის შინაარსის ზედგავლენისა გამო შორაპნის მაზრაში პარასკეობით, თითქმის, ნახევრობით აღარ მიწარობენ და უქმეთ ინახვენ ამ დღეს. ბევრს ადგილას მრევლს ხატზე გადუცია პარასკევს დღეს მომუშავენი და ასე უქმად ატარებენ ამ დღეს. ეკლესიისა და სჯუ-

ლისაგან დადებულ უქმე-დღეებში ხალხი მუშაობს, პარასკევს და სხვა უბრალო დღეებს ცოცხლობს, როდესაც არავისგან ეს დღეები უქმე დღეებად არ არ არის დაწესებული. ამ ხსენებული წერილის ავტორს, რასაკვირველია, ის აქვს სახეში, რომ ხალხი გააფრთხილოს სხვა-და-სხვა ცოდვებისა და ბოროტი საქმისაგან, მაგრამ წერილის შინაარსი ამტკიცებს, რომ მისი დამწერი სრულს გონებაზე არ უნდა იყოს. რომ თავის სისულელეს რაიმე ძალა და რწმუნება მისცეს, წერილის ავტორს ალაგ-ალაგ საღმრთო წერილიდანაც მოყავს ზოგიერთი ადგილები და მასთან ამბობს, რომ ეს წერილი პატრიარქმა სამი დღის დიდი ლოცვა-ვედრების შემდეგ მიიღო ზეციდანო.

ხსენებული წერილის შინაარსის დასახასიათებლად მოგვყავს შეუცვლელად ზოგიერთი ადგილები:

„ისმინეთ ქადაგება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი, რომელი მოაღწია ჩვენამდის რომლისა საკურთხეველსა ზეციდგან სვეტი ნათლისა საკურთხეველსა ესა რომელსაც გამოეცხადა ანგელოზი პატრიარხსა რომელსა და მოვიდა ეკლესიებად იხილა დიდება მახვილითა საკურთხეველი განდიდებული სვეტი ცანი გახსნილი და სვეტი ნათლისა დადგა რომელთ მასზედა შესძრწუნდა პატრიარხი ხილვაზედ ამისა და რქვა რა არის უაფლო ჩვენება ესე ვითარ ჩემზედა მას ჟამსა აღდგა პატრიარხი მოუწოდა კრებულთა მღვდელთა და მონაზონთა და უგალობეს სამსა დღესა და ღამესა ცრემლის დანთხევითა მეოთხე დღესა ვედრებითა და მესამე ღამესა ცრემლის დანთხევითა და მეხუთე დღესა ჰპოვეს ესე წიგნი და თაყვანი სცეს შიშითა უფლისათა ხელი მიყვეს გახსნესა ხელით მოვლინებული წიგნი წარიკითხეს და ჰპოვეს ცოდვანი კაცთა აწდა უკუნისამდე და ესრეთ ეწერა წიგნსა ამას შინა. კრულ არს მარჯვენითა ჩემითა რომელმაც კაცმა შაბათს ცხრა საათიდგან ვიდრე ორშაბათს შვის ამოსვლამდე რაიმე ქნას იგიც კაცი კრულ არს მარჯვენითა ჩემითა საქმე მას წაუხდეს ხოლო სიტყვა ჩემი არ წახდეს. პარასკევს მიწა არ იმუშავოს ამისათვის რადგანაც ჯვარს დავისკმილე ცოდვასა თვისა თქვენისაგან საქარვებლად უკეთუ არ ისმინეთ ჩემი მარჯვენმა ჩემმა მადლმან არა ჩემმა წვალებამან სერაბიმან მისა ამან რომელ ვპყრან ფრთანი თვისი ჩემსა ახალსა მოავლინო მეო-





ხება ჩემი თქვენზედა და რაიცა გქონდეს დავსწვა ცეცხლითა ფაფნარითა კურაჯი და ურწმუნო ვინც იყოს წიგნისა ამისა ოდეს თქვენ გონებდეთ მაშინ ერთ საათშიდ ქვეყნიერება განვაქრო ბრძანებითა ჩემითა. ვინცა რა ნაპოვნი ნახოს რაიმე ეკკლესიაზედ მიიტანოს მღვდელთან თებერვალს ვაწვიმო. სისხლი და ნაცარი აპრილის ჩვიდმეტსა წავახდინო და მოვფხრა პური და ღვინო აპრილს მოვაგლინო ცეცხლი და სხვა ჟანგი ფრინველი წარმათნი რომელსაც ებას ფრთანი არწივისანი თმა და კუდი ცხენისანი და სქამდეს სამოსელსა თქვენსა და გლეჯდეს ხორცსა თქვენსა. აგრეთვე ვფიცავ მშობელსა დედასა წმიდასა ჩემსა და სერობასა ქერაბიმთასა და წმიდას ნათლისმცემლის ჩემისა არც არა ტყვილი არამდ ბრძანებული მაშისა ჩემისა ზეცათასა ვინცა თქვას ღმერთისაგან თქმული მისსა და მიეცა ნაწილი ცეცხლი უშრეტი გენიას საუკუნოთ დავაქციო პირი მისი ვაი იმას და ცხოვრება მისი. ვაი ავს მთელად კაცის მტერსა ვაი სულდგმული კრულიმც არისა ჩემგან პირითა ჩემითა მიეცი იგი მრისხანესა მივსცე იგი ბნელსა და ჯავრსა ქვესკნელსა. ხუცესმან ვისაც ესე არა სწამდეს კრულიც არს მწერალ რომელმაც არ დასწეროს ანუ რამე დააკლოს კრულიცა არს წამკითხველი რომელმან არა თვეშიდ თითოჯელ წაიკითხოს და ვინც თქვას გმობა ამა წიგნისა და უარი უყოს კაცმან იგი კაცისა უარი უყოს მაშის ჩემისა ზეცათა».

დიდი შეცთომა არის ზოგიერთი მღვდლების მხრით ამისთანა ხელნაწერების წაკითხვა. უკვლავ ის, რაც ეკკლესიაში იქნება წაკითხული სასულიერო მთავრობისაგან ნება დართულად და მოწონებულად მიაჩნია ხალხს და, რასაკვირველია, უფრო სარწმუნოდ. ჩვენ გვაკვირვებს ამ შემთხვევაში ზოგიერთი სემინარიელი მღვდლების საქციელი. როგორ მიცეს ნება ამ ხელ ნაწერების ეკკლესიაში წაკითხვისა! მართალია, ზოგიერთებმა გვითხრეს ჩვენ თავის გასამართლებლად, რომ ხალხზე დიდი გავლენა იქონია, ხალხმა თითქმის ტირილი დაიწყო, როცა გაიგო, რომ სისხლის წვიმა მოვა და ქარი ამოვარდება ისეთი, რომ სუყოველიფერს დაამგვრევსო. მაგრამ ეს არის ხალხის მოტყუება და ამ მოტყუებას საძაგელი გავლენა ექნება შემდგომი. რა საჭიროა, რომ ხალხმა პარასკევი იუქმოს და კვირა კი დაარღვიოს!..

განა ცოტანი არიან დღეები, რომელსაც ხალხი უქმობს სხვა-და სხვა ამაოდ მორწმუნოებისა გამო?.. მოძღვრის რიგია ჩააგონოს ხალხს იმ დღეების უქმობა, რომელი დღეებიც ეკკლესიის ტიბიკონით უქმედ არის ნაჩვენები. ეს ხელნაწერი წერილი პატრიარქისაგან ზეცით მიღებული წერილი კი არ არის, არამედ დაწერილია ვიღაცა უვიცისა, უცოდინარისა და ქკუაზე შემლილისაგან. ძლიერ სამწუხაროა, რომ ეს წერილი ასე გავრცელდა ამ უკანასკნელ დროს.

დევ. დ. ლამბაშიძე

**ჩვენს სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა საუბრადღებოდ.**

წინანდელ ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ სიტყვა-სიტყვით ერთი სასულიერო სემინარიის მოწაფის შეხედულება და აზრი გრაფ ტოლსტოის წიგნაკების შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შაგირდის აზრი და შეხედულება სავერაგოთ კი არ არის მიმართული, არამედ, მისი მსჯელობით, საკეთილოდ. ამნაირადვე სტყუვდებიან, რასაკვირველია, მოწაფეები სხვა მავნე მიმართულებების და შინაარსის წიგნაკების და წიგნების კითხვაშიაცა. ძველ დროში 1867 წლამდე ასე ხშირი არ ყოფილა მოწაფეთა გატაცება მავნე შინაარსის წიგნების კითხვით. ძველ დროში მოსწავლეები უფრო მეტი ხნისანი იყვნენ და მასთან მავნე და უკუღმართი შინაარსის წიგნებიც ნაკლებად იყო მაშინ. დღეს კი მოსწავლეები ძლიერ მცირე წლოვნები არიან და ადვილია მათი მოტყუება.

იმ კუთხეულ დროსაც, როცა ჩვენ ვსწავლობდით სემინარიაში, ბევრი იყო უკუღმართი შინაარსის წიგნები, რომლის წყალობით მრავალნი მოსწავლენი გაუბედურდნ და სამუდამოდ დაიღუპნ. წარმოიდგინეთ, ბიუხნერის ხელნაწერი თხზულებანი მოქონდათ საკითხავად!..

გაკვეთილები საადვილო დასასწავლი იყო, თავისუფალი დრო ბევრი გვრჩებოდა. მოგესხნებათ ზოგიერთი შაგირდის სიხარბე და სურვილი წიგნების კითხვისა, განსაკუთრებით ოთხი კლასის გათავების



შემდეგ, როდესაც შაგირდს დიდ სწავლულათ მიაჩნია თავი... წიგნების კითხვის სურვილი სემინარიის დაბალ კლასებში უფრო ნამეტანი იყო. მე და ჩემმა ერთმა ამხანაგმა განვიზრახეთ წერა და კითხვა გაკვეთილებს გარდა, რადგან დიდი დრო გვქონდა თავისუფალი. ჩვენ მივაშურეთ «ცისკრის» რედაქციას და მის რედაქტორს განსვენებულ ი. კერესელიძეს. ჩვენ ვფიქრობდით, თუ ივანე კერესელიძე რედაქტორია და ჟურნალს ბეჭდავს, ალბათ ჩვენ მასწავლებლებზე მეტი განათლებული იქნება და იმისი რჩევა აჯობებს ყველასაო. სემინარიიდან ვიშოვეთ თავისუფლება ორი საათიდან ხუთ საათამდისინ, ვიარეთ და მივედით ცისკრის რედაქციაში. კუკიაში იღვა მაშინ ი. კერესელიძე. მან მიგვიღო ოთახში და გამოგვკითხა ჩვენი ვინაობა. ჩვენ მოვასხენეთ ჩვენი ვინაობა და განუცხადეთ, რომ წერისა ე. ი. ლიტერატორობის და წიგნების კითხვის სურვილი გვაქვს და გთხოვთ რჩევა მოგვცეთ, თუ როგორ მივყოთ ხელი წერასა და წიგნების კითხვით თავის განვითარებას-თქო. კეთილი, გვითხრა განსვენებულმა, ძლიერ კარგი სურვილი გქონებიათო. მე გირჩევთ, რომ სწეროთ რომანები, მოთხრობები და რამე ბელეტრისტიულიო. კითხვით, რაც კარგი წიგნი შეგხვდესთ, იკითხეთ და ცუდი შინაარსის წიგნს ნუ წაიკითხავთო. ჩვენც თავი დაუკარით, მადლობა შევსწირეთ რჩევისათვის და წამოვედით. გზაში გაგვახსენდა ერთი რამე კითხვა, მაგრამ აღარ დავბრუნებულვართ. ეს კითხვა იყო, რომანების წერა როგორ უნდა დაგვეწყო და ან რა აზრი უნდა გავვეტარებია. ბელეტრისტიული წერილებიც როგორ უნდა დაგვეწერა არ ვიცოდით და ამ ჩვენი გამოჩენილი მწერლის და ჟურნალისტის დარიგება ჩვენთვის უქმი შეიქნა!..

ჩემმა ამხანაგმა თავი დაანება სხვა-და-სხვა წიგნების და გაზეთების კითხვას, რადგან გაკვეთილების დასწავლისათვის ბევრი დრო ჰქონდა. მე კი ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და ამისათვის დავიწყე წიგნთსაცავში სიარული გაზეთებისა და ჟურნალების საკითხავად. ეს წიგნთსაცავი მართებლობის იყო და დღესაც არის თფილისში. გავყვევით ტელეგრაფების და სხვა-და-სხვა დღიური გაზეთების კითხვას. მოგეხსენებათ, რომ 1860 წლებში დღიური გაზეთების შინაარსი არ წარმოადგენდა იმ უფერულ სურათს, რასაც დღეს ვხედავთ, თუ დაკვირვებით

გადაათვალიერებთ ზოგიერთი გაზეთების შინაარსს. ისე მიმიზიდა ყოველ დღიური გაზეთის უბრალო და უმნიშვნელო ცნობების კითხვამ, რომ ჩემს პირდაპირ სასარგებლო საქმეზე თითქმის გული გამიგრილა. ეს მალე შევიტყვე და მაშინვე თავი დავანებე. ბოლოს ერთ ცხოვრებაში გამოცდილ, რიგიან განათლებულ პირს დავეკითხე წიგნებისა და გაზეთების კითხვის შესახებ და აი რა მითხრა: «მოსწავლესათვის გაზეთების კითხვა ძლიერ მავნებელია, მავნებელია არა მიტომ, რომ ვითომც გაზეთებში დიდი რამ საწინააღმდეგო იყოს დაბეჭდილი, არამედ მიტომ, რომ მოსწავლეს გულს უცრუებს თავის მეცადინობაზე და ბეჯითობას უკარგავს. მოსწავლემ ისეთი წიგნები უნდა აირჩიოს საკითხავად, რომელნიც ხელს უწყობდენ და ეხმარებოდენ მას უფრო ვრცლად, უფრო კარგად და უფრო განმარტებით შეისწავლოს გაკვეთილები. გაკვეთილების სასწავლო წიგნებს გარდა ბევრი გამოცემა არის იმავე საგნის შესახებ, რომელთა კითხვა კი არ აწებს, არამედ ძლიერ მოეხმარება მოწაფეს განვითარების საქმეში. მაგალ. შენ სწავლობ საზოგადო ისტორიას, მაგრამ შემოკლებით. აიღე და, სხვათა შორის, წაიკითხე ვრცელი ისტორიის წიგნები, თუ დრო გაქვს, და ძლიერ დაგეხმარება შენ საზოგადო ისტორიის შესწავლის საქმეში. ესევე ითქმის ყველა საგნების შესახებ. თქვენ ვიკითხავენ, მაგალითებრ, მოკლე ლექციებს ექიმობის შესახებ, აიღეთ და იკითხეთ საექიმო წიგნები და განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ- ამ ნაირი სწავლა-განვითარება ძლიერ სასარგებლოდ დაგირჩება მთელს შენს ცხოვრებაში“. მადლობა შევსწირე ამ დამრიგებელს და კიდევ შეუდექი მისი დარიგებისამებრ თავის განვითარების საქმეს. რაც თავისუფალი დრო მქონდა, არ დამიკარგავს არც ერთი წამი უბრალოდ.

მაგრამ მოგეხსენებათ, ნათქვამია, ერთ ოჯახშიაც კი მოიძებნებიან კუზიანებიო. ჩვენს ამხანაგობაშიაც კი იყვნენ ისეთი უგზურები, რომელნიც არა ვითარ დარიგებას არ ისმენდენ. ჩვენ გვყავდა ერთი ამხანაგი ბ—ნ ბუ—ძე, რომლის ხასიათი და მიმართულება ახირებული იყო. ამ ახირებული პირის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

ლევ. დ. ლამბაშიძე.





**მთავარ-ანგელოსთა ტაძარი ქუთაისში.**


სწორეთ შესანიშნავია ეს ტაძარი თავის მოძღვრით, თავისი ძველი წეს-წიგნობებით, თავის მედვიტონით და თავის ტიბიკონით. არც ერთ ეკლესიაში არ დადის იმდენი მლოცველი, რამდენიც ამ ეკლესიაში დაიბრუნება. დღეს ცისკარს, როგორც მოგვსენებთ, ეველგან ქალაქებში, თითქმის, საღამოით მწუხრთან ერთად ასრულებენ. მოძღვრებს რომ ჰკითხოთ ამის მიზეზი, გეტყვიან, ვითომც დილით არავინ მივა ეკლესიას. მაგრამ მიდით თქვენ მთავარ ანგელოსის ეკლესიაში ცისკარზე, თუ მთელი ეკლესია სავსე არ ნახოთ მლოცველებით... ამ ეკლესიაში კი მწუხრი მწუხრის დროს სრულდება და ცისკარი ცისკრის დროს. დილის ალიონზე, დაიკვრება თუ არა ზარა, სასიამოვნოდ მოდიან ყოველ მხრიდან მლოცველები. სხვა ეკლესიების კარები კი დაკეტილია! სხვა ეკლესიასზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ კათედრის ტაძარი კი გვაკვირვებს. თვითონ ტაძარი ძლიერ ჰატარა არის. სოგიერთ დღესასწაულებზე ხალხი კარეთ დგას, რადგან შიგნივ სატეობა არ არის. მართლა სოგიერთ დღესასწაულებში, რაც უნდა გულ გრილი იყოს კაცი, მაინც სურს ეკლესიაში ლოცვა. წირვა სრულდება დღეში ერთჯერ ღვევ ღას სურს წირვაზე დაესწროს, მაგრამ როგორ მოხერხდება ეველგან დატყვა! გვიკვირს, რომ ამდენი ხანი კიდევ არ მოუფიქრიათ, რომ ერთი სამწირვლო ტრაპეზი გაუკეთონ გვერდზე კათედრის ტაძარს, თუ კინდ ესლანდელ საღაროში, ეს ხომ ადვილი მოსახერხებელია.

სოგიერთებს შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ ერთსა და იმავე ეკლესიაში ცისკარი საღამოითაც ასრულდეს და დილითაც. წირვა არ შეიძლება ერთ ტრაპეზზე ორჯელ, თორემ ცისკრის გარდახდა ჩუენის ასრით მიუცილებელი საჭიროა დილაობით იმ ტაძარში, სადაც ორი-სამი მღვდელია. განა არ შეიძლება ერთმა ღამის თევით ცისკარი გარდაიხადოს და მეორემ დილის ცისკარი? თუ მთავარ ანგელოსის ეკლესია სავსეა მლოცველებით ცისკარზე, რა დაუძლის საკრებულო კათედრის ტაძარში მლოცველების მისვლას?

არ ყოფილა, მაგალითებრ, ერთი ეკლესიიდან გასვენება გარდამოხსნისა დიდ ჰარასკევს. ეს აღასრულა ქუთაისში მხოლოდ ყოველად სამღვდელთმ ბესარიონმა, გარდამოხსნა დიდის კრძალულებით და ცერემონიით გაასვენა მთავარ ანგელოსთ ეკლესიიდან კათედრის ტაძარში. აუარებელი ხალხი გაევა და მშვენიერი მთაბეჭდილებაც იქონია ამ შემთხვევამ ხალხზე. გასაკვირველია, რომ ეს წესი წინათ არავის არ აუხსრულებია...

აქ უნებლიეთ უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ რადდება მკითხველებისა ერთ გარემოებაზე: როდესაც გარდამოხსნა გაასვენეს მთავარ-ანგელოსთ ეკლესიიდან, ხალხი, რომელიც ამ ეკლესიაში იყო, თითქმის დაღონდა, და დააპირა კათედრის ტაძარში წასვლა გარდამოხსნაზე სამთხვევად, მაგრამ დეკ. რ. გიგაუროვმა, ამ ტაძრის წინამძღვარმა, მიმართა ხალხს: ჩვენ, შვილო, გვაქვს ეკლესიაში მეორე გარდამოხსნა და გამოვასვენებთ მას და აქვე შე-





მ ე ნ ი მ ე ნ ა

კიბლიათ ემთხვიოთ. ხალხი შეჩერდა. კათავდა წესი. გამოასვენეს გარდამოხსნა ტრანჰეზიდან და დაასვენეს გამსადებულ ადგილზე. ესლა მიძართა მამა გიგაუროვმა სიტყვით მლოცველებს. ამ სიტყვაში განუძარტა გარდამოხსნის მნიშვნელობა, სახეები, რომელიც გარდა-  
 მ. მსნაზე არიან გამოხატული და განსაკუთრებით შეწუხებული სახე ღვთის-მშობლისა. განუძარტა დაწერილებით, თუ რათ ევნო მაცხოვარი და როგორ გამოგვისხსნა ცოდვისაგან თავის ტანჯვით, საშინელი წამებით, ჯვარზე ცმით და თავისი სიკვდილით. მოუთხრა ეველა ის გამოუთქმელი წვალება, ვერძლის ცემა, ნერწვევა და სხვა ტანჯვა, რომელიც ქრისტემ მიიღო ხალხის გამოსახსნელად. ამ სიტყვებს ისეთი გრძობით ამბობდა, რომ ცხარეთ სტიროდა და რცემლს ღვრიდა და მლოცველებიც მთლად ეკკლესიაში ისე ცხარედ სტიროდენ, როგორც მათი მოძღვარი. სწორეთ შესანიშნავი სურათი წარმოგიდგებოდა კაცს ამ ეკკლესიაში, რომელსაც იშვიათად შეხვდებით სადმე. რამდენ ადგილას ითქმოდა სიტყვები დღეის დღეს და რა მშვენიერი სიტყვებიც დიდად განათლებულ ჰირთავან, მაგრამ არასოდეს არ შეუძლია ამ სიტყვებმა ის გავლენა იქონიოს მლოცველებზე, რაც ამ ეკკლესიაში ამ უბრალო, მაგრამ გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვამ მ. კ—ისამ იქონა.

დიად, სწორეთ შესანიშნავია ეს ეკკლესია ქუთაისის ქალაქში თავის მოძღვრით, თავის ტრბიკონით, თავის მედავითნით და თავის წეს-წყობილებით, რომელიც მისაბაძავია ეველასაგან.

ქურნალ „Пастырь“-ის ამ წლის № 5—6-ში მოთავსებულია მღ. კ. ცანცაძის «замѣтка», რომელშიაც ავტორს მოჰყავს ბ. ილია ფერაძის სტატიიდან: „Мысли преосвященнаго Гавриила, Епископа Имеретии о воспитаніи дѣтей, по его проповѣдямъ“. ერთი ადგილი, სადაც ბ. ფერაძე არ ეთანხმება დედა აზრს გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვისას, რომელიც იქმნა წარმოთქმული ქუთაისის საჯარო გიმნაზიაში და რომელშიაც შესანიშნავი მწუქესთ-მთავარი პირდაპირ ამბობდა: „Тѣлесныя наказанія, примѣняемыя разумно и осмотрительно, могутъ быть въ извѣстныхъ случаяхъ полезными“... მე მინდა, გავახსენო მკითხველ საზოგადოებას მიზეზი, რისთვისაც წარმოითქვა აღნიშნული სიტყვა, რადგანაც მაშინ ამკარა იქნება, რა შემთხვევა ჰქონდა სახეში გაბრიელს, როცა ამბობდა „въ извѣстныхъ случаяхъ“-ო. მე მაშინ, როცა ეს სიტყვა იქმნა წარმოთქმული, ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი და კარგად მახსოვს ის საშინელი დრო, როცა უოველი ჩვენგანის ბედი ბეწვზე ეკიდა: ათობით და ოცობით ჰკრიცხავდნ გიმნაზიიდან... ნამეტურ იმ წელში, როცა გაბრიელმა თავისი სიტყვა წარმოთქვა, იქმნენ ბევრნი გამორიცხულნი გიმნაზიიდან და მათ შორის, როგორც მახსოვს, ერთი მახლობელი ნათესავიც ეპისკოპოსისა. გაბრიელმა, რასაკვირველია, იცოდა უველა ეს; ჰხედავდა, რომ გიმნაზიის გამგენი ახალმოადის პრინციპს იხვევდენ ხელზე და დუშავდენ ემაწვილებს, რადგან ამბობდენ, ფიზიკური დასჯა აღარ შეგვიძლია შეგირდების და იძულებული ვართ, გიმნაზიიდან დავითხოვოთ უველა, ვინც რაიმე დანაშაული იქნებაო. ნიკოლოზობას, როცა გიმნაზიის ეკკლესიის დღეობა იყო და მთელი ქუთაისის მალალი საზოგადოება გიმნაზიის მთავრობასთან ერთად საყდარში იყო მოგროვილი, წარმოთქვა დღეს საკამათოთ გადაქცეული სიტყვა. უველას უნდა ახსოვდეს, ვინც კი იმ დღეს ქუთაისის გიმნაზიის ეკკლესიაში იყო, თუ რა



გრძნობით, რა გულის ტკივილით ამბობდა 3-ტივეციმული მღვდელთ-მთავარი თავის სიტყვას. ამჟამად იყო, რომ ის თვითონაც იტანჯებოდა, თვითონაც სწუხდა, თითქმის სტიროდა კიდეც, როცა ლაპარაკობდა. ვინც იცოდა, რა მიზეზითაც იყო გამოწვეული ის გრძნობით სავსე სიტუაცია, რასაკვირველია, აზრადაც არ მოსვლია დრამად განათლებული ეპისკოპოსის რეტორიკად დასახვა, ხოლო ვინც არ იცოდა ეს მიზეზი, რასაკვირველია, გაკვირდებოდა: მაგალითად, ახლად ჩამოსული ქუთაისის გიმნაზიაში რუსეთიდან მასწავლებლები ამბობდენ, ჩვენ ქება გავგიგონია გაბრიელის, როგორც განათლებული და სამაგალითო მღვდელთ-მთავრის და ეს კი რაღეს ამბობსო?... ჩემის აზრით, დიდი სიფრთხილე ჰქმარებეს უოველ გაბრიელის სიტყვების კომენტატორს და დამფასებელს, რადგან იმისთანა მგრძნობიერი და შთაბეჭდილებიანი აღამიანი — როგორც გაბრიელი იყო, ხშირად რომელიმე მხლობელ შემთხვევის გავლენის ქვეშ ამბობდა თავის სიტყვებს. დიან, ჯერ ისტორიულად უნდა იქმნას შესწავლილი უოველი გაბრიელის სიტყვა და გამოირკვეს, რა მიზეზით არის თითოეული მათგანი გამოწვეული და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მთი დირსეულად დაფასება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, რომელზედაც გაბრიელის ხსენებულ სიტყვაშია ლაპარაკი, უოველი განათლებული და განვითარებული პირი იმასვე იტყვოდა, რაც გაბრიელმა სთქვა: თუ დასჯა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, სხვა ნაირად დასაჯეთ შევირდი, დასაჯეთ გონიერად და წინდახედულად“ და სასწავლებლიდან ნუ გამოაგდებთ, განათლების გზას ნუ შეუკრავთ და რიყეზე ნუ დატოვებთო. სასწავლებლიდან გამოაგდებაც ხომ იგივე დასჯაა და ხშირად უოველ ფიზიკურ, უოველ ხორციელ დასჯაზე უარესი!.. ვინ არ იცის, რა ცუდი შედეგი მოსდევს სასწავლებლიდან შევირდის გამორიცხვას? ჩვენში ხომ თითქმის უოველი სისამაგლე, უოველი საზიზღროება ამ უნიადაგოდ დარჩენილთა და უმიზნოდ მოხეტიალეათა საქმეა? გაბრიელმაც იცოდა ყველა ეს, გრძნობდა იმ სამინელებათ, რაც მოელოდათ, როგორც თვით გამორიცხულებს, ისე ქვეყანასაც, რომელსაც ისინი ეკუთვ-

ნოდენ და თქვა თვისი შესანიშნავი სიტყვა, რომელიც, რასაკვირველია, არ დარჩებოდა „ნამდ მდადადებლისა უდაბნოსა შინა“ და შემდეგში მაინც უფრო ფრთხილად იმოქმედებდენ ისინი, ვინც მანამდის ქართველ შევირდის გამოაგდებას სასწავლებლიდან არაფრად არ აგდებდენ. თუ ერთი შევირდი მაინც დაიხსნა ამნაირად პატივცემულმა გაბრიელმა დადუპისაგან, ერთ ოჯახს მაინც დაუბრუნა ნასწავლი შვილი და ქვეყანას ერთი რიგინი წევრი, მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა თავის სიტყვით და მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთი კი არა მეტი იქნა დახსნილი ამ სიტყვის თქმით მისგან!..

დუტე მეგრული.

ქ-ნ დარია ფალავას წერილის გამო.

ლიტერატურაში ხშირად მოხდება ხოლმე რომელიმე საეჭვო სიტყვის, ანუ აზრის წარმოთქმის გამო ცხარე ბასი და მწერლების შეტაკება; სჯიან, ბასობენ და როცა სასარჩლო საგანი გამოირკვევა, დაწყნარდებიან. გ. წერეთლის მიერ წარმოთქმულ სიტყვის: „მარგალისკუების“ შესახებ კი რას ვხედავთ? ვხედავთ მხოლოდ გაუთავებელ „ჩხუბს არაფერზე“. ბ. დ. მეგრელი მალალ სასწავლებელში კურს დამთავრებული კაცია, მასთან ლიტერატორი და როგორც მეგრელი, მეგრულიც ძალიან კარგათ იცის. ამან თავის ღია წერილში გ. წერეთლის მიმართ, ვერ იცნო სიბეჯითით გ. წერეთლის ნათქვამი სიტყვა «მარგალის სკუები», რომ საზოგადოდ მეგრელთათვის ყოფილიყოს ნათქვამი და საყოველთაოდ. ამ ეჭვის გასაქარებლად ისევ გ. წერეთელს დაავალა ამ სიტყვის განმარტება და მასთან თუ რა აზრით წარმოთქვა მან იგი. გ. წერეთელმა კიდევაც ახსნა ეს სიტყვა, ასე რომ იმას არაფრის დამატება არ უნდა, ყველასთვის ცხადია. ამავე დროს გამოდის დარია ფალავა და, ვინ იცის, რა ცილს არ სწამებს გ. წერეთელს და რა «წუმეში» არ აგორებს! სხვა არა იყოს რა, სირცხვილია ასე «არაფერზე» საზოგადო მოღვაწის შეურაცხყოფა! რისთვის? იმისთვის,



რომ სომხებმა და ჩვენ ერთმანეთს ძმურად ხელი მოგვიდოთ, შევეერთდეთ და ამავე დროს დარია ფაღაფა სწამებს: მეგრელები ჩვენი მკვიდრი ძმები, ქართველები არ არიანო?! აბა მობრძანდით და დაუჯერეთ დარია ფაღაფას, რომ ეს მართალია! გიორ. წერეთელი ამას მხოლოდ მაშინ იტყოდა, როდესაც მისივე ხელით დასწავდა თავის სიცოცხლეში თუ რამ უწერია ყველას ერთად და უარყოფდა მის მართულებას ამოდენი ხნის მოღვაწეობაში. ქ-ნო დარია! ასე ადვილი დასაჯერებელი და «ამყოლს აყევი» არ გახლავს მკითხველი საზოგადოება. კაცი ოც-და-ათი წლის განმავლობაში მკითხველებს ასაზრდოებს სულიერად და ამდენი ხნის მოღვაწე კაცი თქვენი ერთი ტალახიანი წერილით გინდათ გულიდან ამოაშოროთ მკითხველებს? ნამეტანი აჩქარებულხართ. ბრძანებთ: «გ. წერეთელმა თავის ნაწერებით მხოლოდ სიცრუე დაიჭირა, მეტი არაფერიო». გ. წერეთელს რომ არ უწერია, ისეთი გამოცემა ჩვენში არ ყოფილა და ყველა ამ გამოცემათა თავთავისი რედაქტორები ჰყავდათ, გ. წერეთელი თუ მისი ნაწერებით მხოლოდ „სიცრუეს იჭერდა“, ის რედაქტორები ყველა სიცრუის მიმდევარნი ყოფილან, რომ გიორგის სიცრუეს აწერინებდენ თავიანთ გამოცემაში! მაშასადამე, ამითი თქვენ არა მარტო გ. წერეთელს, არამედ მთელს ქართ. მწერლობას და მასთან ყველა მკითხველებს სწამებთ უაზრობას მით, რომ ისინი სწერდენ და ჩვენ ვკითხულობდით «სიცრუეს». «გ. წერეთელს ვერ ვიცნობო», პირადად ცნობა რა საჭიროა და მას თუ მისი ნაწერებით ვერ იცნობთ, მის სიცოცხლეში რას ჰქადაგებს, რა აზრსა და მიმართულებას ემსახურება, საზოგადოდ რისთვის სწუხს და რა ახარებს, თუ ესენი არ წაგიკითხავსთ და მხოლოდ იმის ამ უკანასკნელს წერილს წააწყდით, რომელზედაც თქვენ სწერთ, მაშინ ყველაფერი გეპატიებათ; მაგრამ რა შუაშია! თქვენ იმისი ნაწერები ყველა წაგიკითხავთ და როგორც გენიოსი, თქვენი კრიტიკა ამ ერთი სიტყვით გამოთქვით: „ბუ დაიჭირა და ცრუ ლიბერალობა გვიქადაგა“!! მახლას! ახლა ილიამ და აკაკიმ თუ კიდევ გული მოგაყვანიეს, იმათ ნაწერებსაც ხომ ასე გააქარწყლებთ და ჩვენ რაღას გვიტოვებთ? მივირის! მე მგონია, რომ მეტი დარბაისლობა მართებს «ლიტერატორ» მანდილოსანს. ვინც უნდა დიდი მწერალი იყოს იგი, არავის არ ეპატივება ჩვენი საუკეთესო მწერლების


მოღვაწეობას შეეხოს იმ გვარად, რომ კულტივად გააქარწყლოს. გ. წერეთელზე რომ გამაჩირობებთ და აშორდიას ადარებთ, რომელსაც აშორდიას თანამოაზრეების საწინააღმდეგოდ აუარებელი ნაწერები აქვს, რატომ ერთი წერილი მაინც არ დასტამბეთ სადმე აშორდიას საწინააღმდეგოთ; თუ ასე საზიზღრად მიგახნდათ აშორდიას მოქმედება და საწერად კალამი გემარჯვებოდათ?

გ. წერეთელმა რომ სიტყვა „მარგალისკუა“ ახსნა, რატომ არ დაიჯერეთ? რათ ამბობთ «მარგალისკუა» მდაბიო ხალხს არ ნიშნავსო? «მარგალი», და «ჯინოსკუა» [გლეხი და აზნაური]; როგორ გესმით? «მარგალი» მდაბიო წოდებას არ ნიშნავსო, ამას რომელი მეგრელი იტყვის? თუ მრავლობითი რიცხვით იხმარა, იქნება გუნიას გარდა, მეორე და მესამეც ყავდა სახეში. მთლად სამეგრელო აქ რა შუაშია! ამის შესახებ: «მწარე კენესა და გოდება არის მეგრელიაშიო», რომ ბრძანებთ, ეს სულ ტყვილია. თქვენ გაკაპასებულხართ, თორემ მეგრელია ამისთანა უმნიშვნელო ამბავს ყურსაც არ ათხოვებს. დაგარწმუნებთ, ქ-ნო, რომ თქვენგან აშორდიასთან შედარებული წერეთელი უფრო მეტს მფარველობას გასწევს იმ აშორდიასებრივი საქმის ჩასაქრობად, ვინემ თქვენ! მოგეხსენებათ: ყველაფერი ყოველთვის არ ითქმის, თორემ უფრო საბუთიანად დაგიმტკიცებდით თქვენი წერილის მანებელ მნიშვნელობას.

კმარა. ნუ გიკვირთ, რომ «ივერიამ» დაგისტამბათ ეს უმგვანი წერილი \*). «ივერიამ» გ. წერეთლის და „კვალის“ შესახებ თუ რამ თითზე დასახვევი იშოვა, განა ერთ თვემდის მაინც შესწყვეტს ყაყანს? «ივერიას» და «კვალს», ან ილიას და გიორგის რომ ერთმანეთში რაღაც პირადული ანგარიში ჰქონდეთ, ჩვენ რა შუაში ვართ? ჩვენი გაფხეკილი ჯიბიდან ფულს ვიღებთ, ათას საჭიროებას

\*) „ივერიამ“ არა თუ არ დაბეჭდა ეს სამარცხვინო წერილი, არამედ მწუხარებას აცხადებს თავის შენიშვნაში, რომ ძალიან სიჩქარით ვერ მიაწვდინა მკითხველებს ერთი საუბნოვო და ყველასკან ცნობილი ლიტერატორის ლანძღვთრევა და ოცდაათი წლის განმავლობაში მისი გონების ნაწარმოების გაქარწყლება! მერე ვისვან?





ვტოვებთ, ვთმენილობთ, გვინდა რაღაც სულიერი საზრდო მივიღოთ და „ივერია“ ამის სამაგიეროდ კი უმნიშვნელო პოლემიკით გვიქედს ყურებს! ბატონებო, შეგვიბრალეთ, მოგვაშორეთ „ივერიაში“ სულ ის ერთი და იგივე მეპოლემიკე «ყბად ასაღები არის თუ რაღაცა «წყალწასაღების» ავტორები, რომელიც ოცდაათი ფსევდონიმით გამოდის, სალანძღავი კილო-პასუხები ზეპირადა აქვს შესწავლილი ღ ზან ერთი ფსევდონიმით სროლილობს ცხდას და ზან მეორეთი! საპასუხო საგანი ილიასა და გიორგის თითო წერილებით გამოირკვა... თითო ოროლა წერილებით თუ ვტყბებით, სამაგიეროდ ათითა და ოცით გულს გვიწყლულებთ, და გთხოვთ შეგვიბრალდეთ... \*)

ქათველის შვილი.



\*) ჩვენმა რედაქციამ ბევრი წერილები მიიღო ბ. გიორგი წერეთლის მიერ ნახმარ სიტყვის „მეგრელის სკუები“-ს შესახებ. ამ წერილებში ყველა ზიზღით იხსენიებს იმ ბატონებს, რომელთაც ასეთი ცილი დასწამეს ბ. გიორგი წერეთელს. წერილების ყველა ავტორები ცხადათ და აშკარად ამტკიცებენ, რომ ამ ნაირი უმართლო გალაშქრება ბ. წერეთლის წინააღმდეგ გამოწვეულია პირადულ ანგარიშებით. ჩვენ, ვერ ვბეჭდავთ ყველა ამ წერილებს და გამოტყეხილი უნდა ვსთქვათ, რომ არც საჭიროდ მიგვაჩნია ამისთანა წერილების ბეჭედა, რადგან ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს როგორც ბ. გიორგი წერეთელს და მის მოღვაწეობას, ისე იმ ბატონებს და მათ მოღვაწეობას, რომელნიც ასე ალაშქრებულან ბ. გ. წერეთლის წინააღმდეგ. თუ ღღემდის ჩვენს საზოგადოებას ბ. გ. წერეთლის მოღვაწეობა შეგნებულნი არა აქვს, რამდენიც გინდათ წერეთ, იგი ეხლა ვერაფერს ვერ შეიგნებს. ჩვენ მხოლოდ ერთი გარემოება გვაკვირვებს: ზოგიერთი მწერლების მიერ ჩადენილი საზიზღარი საქციელი—საზოგადოების მოტყუება, საზოგადოების ფულის უკანონოდ მითვისება, შურის და განხეთქილების ჩამოგდება აშკარად შეიტყვეს, მაგრამ ამაზე არაფერს არ ლაპარაკობს და სიტყვამ „მეგრელის-კუები“ ზოგიერთები მთლად გააგიჟა. დიახ, ძლიერ ჩქარის ნაბიჯით მივდივართ უკან...

რედ.

მოვალეობა თუ სიყვარული?

(მოთხრობა).

(დასასრული \*)

VII.

სამღვდელოება, ნათესავები და ზოგნი ნაცნობთაგანი განსვენებული მ. ანდრიასი ალაზზე მიიწვიეს. მ. ანდრიას პატარა სახლი მთლად სავსე იყო ახალი მაგიდებითა, რომლებზედაც ელაგა ჩაი და საუზმე.

სტუმრები შევიდნენ სახლში და დაიწყეს დიდი პანაშვიდი, რომლის დასრულების შემდეგ სტუმრებს ჩაი მოართვეს.

ჩაის ღროს სტუმრებ შორის დიდი გაცხოველებელი მუსაიფი იყო. უფრო ხშირად მ. ანდრიაზე ლაპარაკობდენ.

მალე კამათიც გაიმართა. მოხუცებული დეკანოზი შეება მ. პეტრესა იმ მოტივების შესახებ, რომლებითაც ხელმძღვანელობდა განსვენებული მ. ანდრია თავისი მოვალეობის სამაგალითო აღსრულების დროს.

— არა, ბატონო, მოითმინეთ, — ცხარობდა მ. პეტრე, — განსვენებული მუდამ სიყვარულით ხელმძღვანელობდა. უყვარდა თავისი მოვალეობა და ამიტომ მოქმედებდა.

— სცდებით, ათასჯერ სცდებით! შეესიტყვა დეკანოზი. — რა უშაშია აქ სიყვარული, როდესაც საკმარისია საკუთარი მოვალეობის წარმოდგენა. მ. ანდრია კარგად გრძნობდა, რომ ვალდებული იყო თავისი ძალღონე შეეწირა მოყვასთადმი სამსახურისათვის — და შესწირა კიდევაც. მაგალითად, ავიღოთ თუნდ ეს უკანასკნელი შემთხვევა. განა მოვალეობის აღსრულება არ ჰქონია სახეში მ. ანდრიას, როდესაც იგი მოხუცებული დედაკაცის საზიარებლად წავიდა? ის გრძნობდა, რომ უნდა წასულიყო, ვალდებული იყო წასულიყო (დეკანოზმა სიტყვა „ვალდებული“ ხმა აწევით წარმოთქვა). ესეც საკმარისი იყო, რომ იძულებული იყო წასულიყო. არა, საკუთარი მოვალეობის წარმოდგენა დიდი საქმეა...

დეკანოზმა სიბრალულით ამოიოხრა და ყველა იქ მყოფთა გადახედა. ყველანი ყურს უგდებდენ ლაპარაკს.

ყველა იქ დამსწრე პირისახეზე დეკანოზმა შე-

\* იხილე „მწყემსი“ № 8, 1897 წ.



ამჩნია თანხმობის ნიშანი და უფრო გამხნეებულად მიუბრუნდა მ. პეტრესა და დაიწყო:

— რას იტყვი! განა მოვალეობის მტკიცედ აღსრულება არ იხედებოდა მ. ანდრიას უკანასკნელს ღვაწლში?!

— არა, მ. დეკანოზო, მე სხვაფრივ მგონია. — მიუგო მ. პეტრემ დეკანოზს, რომელიც დაფიქრანებული სადღაც გაიხედებოდა.

— მე მგონია, რომ ვალი კი არა სიყვარული იყო. აბა გასინჯეთ. მოდიან მ. ანდრიასთან გლეხები და სთხოვენ აზიაროს მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც, როგორც ამბობენ, კარგად იცნობდა და პატივსაც კვამდა განსვენებული. კარგი. ავდრიანი ღამე იყო. მდინარე საშინლად ღელავდა. მგზავრობა იმდენად საფრთხილო იყო, რომ მხოლოდ ან უგუნურება და ან უკიდურესი საჭიროება თუ გააბედვინებდა ადამიანს მდინარეზე მგზავრობას. რას გრძობდა მ. ანდრია? ნუ თუ მოვალეობის წარმოდგენას, ამ მშრალსა, ცივსა და განყენებულს, შეეძლო იმ ზომასზე ემოქმედნა მის გაბედულებასზე, რომ წასვლა არჩია? ნუ თუ მხოლოდ მას ერთს შეეძლო ეძლია სიცოცხლისა, მახლობელ-ნათესავთა სიყვარულისა, თითქმის აშკარა სიკვდილის შიშისა და იმ წარმოდგენისათვის, რომ მას არ გაჰკიცხავენ უარის თქმისათვის და სხვა ამგვარებისათვის? არა. აქ სულ სხვა მოტივია. მან უთუოდ უწინარეს ყოვლისა მოიგონა და წარმოიდგინა საწყალი, წამებული, დატანჯული დედაკაცი, რომელიც, ცხადია, მოუთმენლად მიელოდა უკანასკნელს ნუგეშს ამ ქვეყნად. მან უთუოდ მოიგონა, თუ როგორ ეშინია ჩვენს ხალხს უზიარებლად და მოუხანებლად სიკვდილისა, რაზომ ეცოდება ის, ვინც ვერ გამხდარა ღირსი ცოდვების მონანებისა და უკანასკნელად მაცხოვრის სისხლისა და ხორცის მიღებისა!..

მ. პეტრემ ამოიოხრა. ყველა ცნობის მოყვარეობით შეჰყურებდნენ მის გრძობიერს და მხურვალე სიტყვას.

— მან წარმოიდგინა უსიამოვნოთა შორის უმწუხრესი სურათი. ფართო სკამზედ წვეს მივიწყებული მომაკვდავი მოხუცებული დედაკაცი. ისწამ და უწუმ კითხულობს, მოვიდა თუ არა მოძღვარი, გაგზავნეთ თუ არა ვინმე... მის ხმას მოუსვენრობა ეტყობა. ათრთოლებული ყურს უგდებს ქარის ზუილსა. გააღებენ თუ არა კარებს, ყოველთვის იქითაჲნ მიაპრობს თვალებს, მოვიდა თუ არა სანატრელი, მოპატივებული მოძღვარი... მის მიმქრალს თვალეში

შეგიძლიათ ამოიკითხოთ საოცარი ზნეობრივი ბრძოლა, არა ჩვეულებრივი ტანჯვა... მას სულს უხუთავს ერთი მოუშორებელი საკითხი: ნუ თუ ველარ მომისწრებს მოძღვარი, ნუ თუ ისე უნდა მოვკვდე, რომ ვერ ველირსო ზიარებას? ყოველ მართლ-მორწმუნე, გულკეთილ ქრისტიანეთათვის მისახვედრი შიში—შიში, რომ არ მოკვდეს მოუხანებლად—ასუტებს მას. ის იტანჯება საშინლად.

— მ. ანდრია ხედავს ასეთს სურათსა და მის გულში ინთება სიყვარული ამ საწყალი დედაკაცისადმი. ის იტანჯება მასთან ერთად. ის ჩქარობს წასვლას. ჩქარობს, რომ შეუმჩატოს მწუხარება საწყალს, დააცხროს მის სულში მგმინავი ქარიშხალი. მოძღვრის მოვალეობაზე ფიქრი შორს არის მისგან. მისი ადგილი უჭირავს იმ ფიქრსა, რომ მას ელოდებიან მოუთმენლად, თითოეული წუთი ამ მოლოდინისა იქცევა საათებათ, დღეებად, თვეებად, თითქმის წელიწადებადაც. ის თითონ იტანჯება მოხუც დედაკაცთან ერთად, წვალობს მასთან....

მისი გული ავსებულია გრძობიერი სიყვარულითა... სად არის აქ მოვალეობის წარმოდგენა? სად არის აქ ფიქრი მწყემსის თანამდებობაზე?

მ. პეტრე კითხვის გამომეტყველებით შეასტერდა დეკანოზსა. დეკანოზი სდუმდა. სდუმდენ სხვებიც, რომლებიც დიდი დაინტერესებული უგდებდნენ ყურს მ. პეტრესა. მის მიერ წარმოდგენილმა სურათმა ყველაზე ძალიან იმოქმედა.

— თქვენი პსიხოლოგია, შეიძლება, მართალი იყვეს, იძულებული იყო დასთანხმებოდა დეკანოზი,—

— მართალია შეეძლო მამაკვდავი მოხუცებული დედაკაცისადმი თანაგრძობასა, ან როგორც შენ ასახელებ, გრძობიერს სიყვარულსა, ემოქმედნა მ. ანდრიას გაბედულებასზე. მაგრამ მოვალეობის წარმოდგენა მაინც.... მოშვებულად შეესიტყვა კიდევ დეკანოზი.

მაგრამ ყველაფერთი ცხადი იყო, რომ თუ კიდევ გამოესაუბრა, ეს ისიტომ, რომ თვისი ავტორიტეტი დაეცო.

მ. პეტრე მიხვდა ამასა და იგიც დაეთანხმა, რომ შეიძლება მოვალეობის წარმოდგენაც მოქმედებდა მ. ანდრიაზე, მაგრამ უპირველესი მიზეზი ამ ძნელი მოგზაურობის გაბედვისა მაინც და მაინც სიყვარული იყო.

მაყურებელიც ყველანი დაეთანხმნენ ამ აზრს. ნათესავებისა და ნაცნობების წასვლის შემდეგ დარჩა მარტოდ ახალგაზდა ქვრივი. ისეთი სიმარტოვე, ისეთი უსახსროება იგრძნო მან, რომ შიშმა და ღრმა სასოწარკვეთილებამ მთლად აიტანა...

შეშინებული ბავშვებიც დაჩუმებული ისხდნენ და ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.



ქერივი დარბაზში ისხდა ტახტზე. უიმედო სა-  
საწარკვეთილება მთელ მის აგებულებაზე იხატებო-  
და. ქალი ფიქრობდა მის დანაკლისზე, მომავალზე.  
დაობლებულ შვილებზე. საოცარი სისწრაფით ეც-  
ვლებოდნენ ფიქრები გონებაში. ზოგჯერ მწარე  
ფიქრებში მომავალ ცხოვრებაზე ახალ გამოვლილთა  
უსიამოვნო წარმოდგენით ეცვლებოდნენ. ქალი წა-  
მოიჭრა უეცრივ ტახტიდგან და ხმამალალი გოდე-  
ბით დაეცა მუხლებზე მაცხოვრის ხატის წინაშე.

—ღმერთო, ღმერთო! გარკვეული ჩურჩულით  
წარმოსთქვა მან და ზევით აპყრობილ დაკრუნჩულ  
ხელებს იფშენიდა.

—ნუ თუ შენ აიღებ ჩვენზე ხელს! ნუ თუ მო-  
გვიძულებ ჩვენ, გამწარებულთ, უსალსროთა, დაღუ-  
პულთა!

მისი თვალეები ისე მიასტერდნენ ხატსა, რომ  
გეგონებოდათ პასუხს მოეღის მისგანო. მაცხოვრის  
ხატი ახლა მოქუშულ მრისხანედ მოეჩვენა, თითქოს  
უნდა შეაყენოს უგუნური კითხვები სასიშარ მწუ  
ხარებისაგან თავზარ დაცემულ ქალისა.

შენ ხომ სიყვარული ხარ! შენ თითონ სიყვარულისა  
გამო ივნი! ნუ თუ არ დაგვიფარავ ჩვენ, რომლებიც  
სიყვარულისავე მსხვერპლი გავხდით! სანდრო დაი-  
ლუპა სიყვარულისაგან. ყველანი ამას ამტკიცებენ,  
და მეც კარგად ვიცი, რომ ეს მართალი არის...

ქალი ათრთოლებული მიხვრა მოხვრით წამო-  
დგა ზეზე. თვალეები ანთებოდა.

—არა, თითქმის ყვირილით, წამოიძახა მან.—შენ  
არ მოგვიძულებ ჩვენ, მე მრწამს ეს! მე ვხედავ ამას.

მრისხანე მკაცრი გამომეტყველება მაცხოვრის  
ხატისა გაჰქრა. ხატიდგან იყურებოდა მშვიდი, მოსი-  
ყვარულე, თანამგრძნობი ქრისტე. გადაშლილ სახა-  
რებაზე, რომელიც ხელში ეჭირათ მას, ნათლად მო-  
ჩანდნენ სიტყვები: „მოვედით ჩემდა ყოველი  
მამრალი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენო  
თქვენ!“

მლ. დ. ჩხაიძე.



## სიჯგვა,

თქმული 12 მარტს ქაშუეთის წ. გიორგის ეკლეს-  
სიაში თავად ნიკოლოზ ზურაბის ძის ქავჭავაძის  
დასაფლავებაზედ.

სახელითა მამისათა და ძისათა, და  
წმიდისა სულისათა.

ყოველი ერისა, ყოველი ტომისა და თესლის  
ბედნიერებას, იმედს და ნუგეშს შეადგენენ იმ გვარი  
წამომადგინებლები, რომლებიც დაჯილდოებულნი  
არიან ღვთისაგან თვალსაჩინო ნიჭით, უმწიკვლო  
პატიოსნებით და თავ გამოდებული, დაულალავი  
მხნეობით. რაც უფრო მეტი ჰყავს ერს ამ გვარი  
ღვიძლი შვილები, მით უფრო მხნე, გულადი და  
გამბედავია იგი, მით უფრო მხიარული, ბედნიერი  
და კმაყოფილია ცხოვრებისა, მით მომეტებულათ  
ჰწამს მას თავისი ბედნიერი მომავალი, წინსვლე-  
ლობა და წარმატება. ის პირი, რომელსაც თავისი  
არსებობის და მოქმედების ერთად ერთ მთავარ მიზ-  
ნად დაუსახავს სამსახური ღვთისა და მოყვანისა, რო-  
მელსაც ყოველი მოქმედების დროს აღსოვს პირვე-  
ლათ პირუთვნელი პატიოსნება და მასთან ერთად  
ბედნიერება თანამომეგებისა, რომელსაც მტკიცეთ  
გადაუწყვეტია იცხოვროს და იმოქმედოს მოყვანათა  
საკეთილ-დღეოდ, ის პირი მთელს ერს მიჩნეული  
ჰყავს მშობელ მამათ და ღვიძლ ძმათ. ამ გვარ პი-  
რებს იცნობს მთელი სამშობლო, მათ სახელს დიდი  
პატივისცემით და ხალხოსნური კმაყოფილებით წარ-  
მოსთქვამს ხოლმე ყველა, როგორც ქალაქში, ისე



სოფელში როგორც სწავლული, ისე უმეცარი, როგორც მდიდარი, ისე ღარიბი. რჩეულ პირების ყოფამდგომარეობას გულ დასმით ეკიდება მთელი ერი: მათ ბედნიერებას რაცხს თავისს საკუთარ ბედნიერებათ, მათი ტკივილი და ურვა მიაჩნია მას საკუთარ სატკივრად და მწუხარებად. ესაა მიზეზი, რომ როდესაც ამ გვარ პირს იმსხვერპლებს ხოლმე ხარბი და გაუმაძღარი სიკვდილი, სტირის, გლოვობს და გმინავს არა რომელიმე ოჯახი, არა რომელიმე წრე ანუ უწყება, არამედ მთელი სამშობლო გარდაცვალებულისა.


უხვად იყო ნაკურთხი ღვთისაგან ნეტარ-ხსენებული თავადი ნიკოლოზი. წარჩინებულად ამოქმედა მან თავისი სულიერი ძალა სასახელოდ მამულისა და სასიქადულოთ მშობელი ეკლესიისა; განუსაზღვრელად უყვარდა მას თავისი სამშობლო და ამის გამოა, რომ მის სიკვდილს ვტირით და ვგლოვობთ ყველანი, მისმა სიკვდილმა ყველას ჩაგწყვიტა გულის ძარღვი, ყველანი გავმწარებულვართ იმის გამო, რომ ამ შავმა კუბომ უნდა გამოგვასაღმოს ამერიდგან ჩვენს სიქადულს და ნუგეშს, ჩვენს დაუზარებელ და გაბედულ მცველს, ჩვენს ბრძენს, დიდად გამოცდილ დამრიგებელს და სიკეთის გზის მაჩვენებელს. დიდად საგრძნობელია ამ ბედნიერების დაკარგვა, ძნელი ასატანია ამისთანა პირის ხელიდამ გამოცლა და სწორეთ არავისაგან დაგვეძრახება ეს დღევანდელი ჩვენი ტირილი, გმინვა და გულ-დასაწვავი სამგლოვო მოთქმა. მაგრამ არა, საყვარელნო ძმებო და ბრწყინვალენო ჭირისუფალნო! მარტო ცრემლთა ფქრვევით და ტირილით ვერ მოვიხდით ჩვენ ზნეობრივ ვალს ამ ძვირფას კუბოს წინ. მარად ხსოვნა სახელოვანი გმირისა, მის მოქმედებათა ბაძვა და ანდერძის აღსრულება, - აი რითი შეგვიძლია ჯეროვნათ გადაუხადოთ დავალება ჩვენ ძვირფას გარდაცვალებულს. ნება რთვას გთხოვ, ნეტარო მიცვალებულო, გავითვალისწინო მრავალ რთული და მრავალ გვარი ასპარეზი შენთა მოქმედებათა, არა საქებლად და სადიდებლად შენდა, არამედ საგულისხმოდ და დასამოდვრად ჩვენდავე.

როდესაც უკვირდებით განსვენებული თავადის გონების სიმძლავრეს, გამჭრიახობას და საოცარ სიმახვილეს ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით მის საგმირო საქმეებს, რომლებმაც სახელი გაუთქვეს მას არა მარტო სამშობლო ქვეყანაში, არამედ მთელ რუსე-

თში, თითქმის არ გვჯერა, რომ მიცვალებული არ იყო ესოდენი სახელოვანი სამსახურისთვის მომზადებული უმაღლესი სწავლა-განათლებით. ეს გარემოება ფრიად საგულისხმო და საყურადღებოა ყველასთვის. თავადს ნიკოლოზს არა თუ არ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, მას საშუალო სასწავლებელიც არ დაუმთავრებია სრულებით და უმეტე ნაკლოდ. გარნა მიუხედავად ამისა მან მიაღწია გონების განვითარებით და ბრძნული მოქმედებით იმ წრემდე, რომელიც სანატრელად და საწადელად დარჩომიათ არა ერთსა და ორს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ. თავადმა ნიკოლოზმა გამოიტანა მშობელი ოჯახიდან და პირველი სასწავლებელიდამ მხოლოდ მტკიცე ზნეობრივი განვითარება; სიყრმითვე ამოიქცია მან გულის ფიცარზე მხურვალე სიყვარული ღვთისა, მოყვებისა და მამულისა და ამ მოძღვრების ერთგულმა სამსახურმა მიაღწევინა მას იმ წარჩინებამდინ, რომელიც ითვლება რჩეულ პირთა ხვედრად. გავიგოთ და ვიწამოთ, მაშასადამე, ძვირფასნო მსმენელნო, რომ ქვეყნისათვის სასარგებლო და მამულისათვის სასიქადულო მოქმედება შესძლებია მხოლოდ იმ კაცს, რომელიც თავისს სიცოცხლეში მისდევს ზნეობის მოძღვრებას და მტკიცედ სდგას სარწმუნოების მაღალ მცნებათა განხორციელების გზასაზედა.

ახალ ვაზდა, შობიდან თექვსმეტი წლისა, გამოუცდელი და ჯერ ყველაფერში ისევ ხამი თავადი ნიკოლოზი შედის სამხედრო სამსახურში და თავგაწირვით ებრძვის ლეკებს, რომლებიც აწიოკებდნენ და მოსვენებას არ აძლევენ კახელებს დღე და ღამ. აქაც ბედნიერება თანსდევდა ახალვაზდა ნიკოლოზს. საგმირო ცხოვრების შესათვისებლათ განგებამ მიანიჭა მას პირველ მასწავლებლებათ ისეთი გმირნი, როგორიც იყენ სახელოვანი გ. ორბელიანი და თავადი ლ. მელიქიშვილი. ხსენებულ პირთა მაგალითი სრულებით საკმარისი იყო, რომ ნიჭით სავსე ახალვაზდა მხედარი ნიკოლოზი მოკლე ხანში შექმნილი იყო ლომგმირათ. თითქმის შეიდი წელიწადი იმსახურა აწგანსვენებულმა თავადმა კახეთში და მთელი ეს დრო გაუტარებია ცხენის ზურგზე, ფეხი არ გამოუყვია უზანგინდამ და თავგაწირულათ უჩენ-უკაფავს თავისი საყვარელი სამშობლოს დაუძინარი მტრები. არ აღსოვს არავის, რომ ამ საშიშ და სახიფათო გარემოებაში გულადი ნიკოლოზი შეეწი-





ნებიონს რომელიმე შენთხვევას, უკან დაეხიოს მას და ეჩვენებინოს მტრისათვის ზურგი. აგერ 50 წლებში ასტყდა ოსმალთ ომი. მხნე, უკვე დამსახურებული ახალგაზდა გმირი ნიკოლოზი მოესწრაფება შავარდენივით ქალაქში თავისი სახელოვანი სამხედრო რაზმით იმ განზრახულებით, რომ ქალაქი დამსხვებთან ერთად გაემგზავროს ბრძოლის ველისკენ, რომელიც იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში, შავის ზღვის პირათ. აგრძნობინა რა მდინარე ჩოლოყის ნაპირებზე მტერს თავისი მამაცობა და გმირობა ნიკოლოზი კვალად დაბრუნდა, ხელმწიფისაგან უმოწყალებად დასაჩქრებული, თავისი ძვირფასი სამშობლოს-კახეთის,-დასაცველათა. ოსმალთა ომის შემდეგ თავად ნიკოლოზს განგება უჩენს ასპარეზს მოუსვენარ დაღესტანში. აქ მხურვალე მონაწილეობას იღებს იგი შამილის დაქვრავში, საღვატის აღებაში და გუნების დარღვევაში. ამ დროსვე იცვლება მისი სამსახურის ხასიათი—იგი ინიშნება დაღესტნის ერთი ნაწილის უფროსათ, შემდეგ — განჯის გუბერნატორათ და ბოლოს მთელი დაღესტნის სამხედრო გუბერნატორათ. ამ მეორე გვარ სამსახურში განსვენებულმა გამოიჩინა საუცხოვო ნიჭი ქვეყნის მმართველობისა. არც განჯაში, არც დაღესტანში არა იყო რა ჯერ რიგზე და წესზე დაყენებული. მცხოვრებნი ამა ფართო ქვეყნებისა, სრულებით მოკლებულნი სწავლა-განათლების ცხოველყოფელ შუქს, ნაცვლად მშვიდობიანი შრომისა, სინდისიერი აღებ მიცემობისა, გონიერი მრეწველობისა და მიწათ მოქმედებისა, გატაცებულნი იყვნენ ჯერ ისევ ცარცვა-მტაცებლობით, თავდასხმა რბევით, ურთ-ერთის შურით და მტრობით. მმართველს უნდა გამოეჩინა შემოქმედი ძალა, რომ დაემშვიდებინა უწვრთნელი ერი და დაეყენებინა იგი წარმატების გზაზე. რა ჩაიდინა ამ მხრივ ახლად გარდაცვალებულმა თავადმა, როგორ შეაჩვია მშვიდობიან მოქალაქობას მისდა რწმუნებულთა კუთხების მკვიდრნი, როგორ გააუმჯობესა მათი გონებრივი, ზნეობრივი და ქონებრივი მხარეები, ამაზე საუბარი ერთობ შორს წავიყვანს და არც არის საჭირო, რადგანაც მომეტებულმა ნაწილმა ყველაფერი ესე ჩემზე უკეთესათ უწყით. საჭიროა მხოლოდ გავიხსენოთ ის გარემოება, რომ განსვენებულის სახელი იმ ხარისხამდეა გაერთებული და დაკავშირებული დაღესტანთან, რომ არ შეგიძლიანთ წარმოასთქვათ ამ ქვეყნის

სახელი და მასთან ერთად არ წარმოიდგინოთ ბრწყინვალე სახე თავადისა. მამობრივიმზრუნველობით და სიყვარულით დაიმსახურა, რასაკურველია, თავადმა ნიკოლოზმა ის სიყვარული და ნდობა დაღესტნელებისა, რომელიც თვალსაჩინოთ გამოუცხადეს მას უკანსკნელებმა ამ ორი წლის წინეთ, როდესაც განსვენებული ეთხოვებოდა სამსახურს და ემშვიდებოდა თავისს ხელქვეითთ.

დაღლილი მუდმივი შრომით და განუწყვეტელი ჯაფით, დასუსტებული სასტიკი ავადმყოფობით, განსვენებული დასახლდა და ამ გვართ სრულებით დაუახლოვდა სამშობლოქვეყნის საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას. ვის არ უნახავს როგორი სიმხურვალით და წადიერებით ლოცულობდა ხოლმე განსვენებული როგორც თავისთვის, ისე თავისს სამშობლოს კეთილდღეობისათვის საქართველოს განმანათლებელის, წ. ნინოს ხატის წინ, რომელ ხატსაც არ იშორებდა არას დროს და მუდამ თავისთან ატარებდა?

აღვსილნი მწუხარებით შენი ჯერ ისევ უდროო სიკვდილის გამო, აღვაფენთ სრულს მადლობას უფლისადმი, რომელმაც არამც თუ მარტო დაგვასაჩუქრა დიდი ნიჭიერობით, არამედ შეგაძლებინა ამ ნიჭიერების კეთილად განვითარება და მოხმარება მისი სასარგებლოთ, სასიქადულოთ და სასახელოთ სამშობლოსი. გააკურებთ მწარე ცრემლებს, მაგრამ ამასთან ერთად ვნუგეშობთ იმ სასოებით, რომ სწორეთ შენგვარი კეთილი პირებისათვის არის განმზადებული სასუფეველი მღვთისა.

წარემართე მშვიდობით, კეთილო და ღვთისმშობსაგო სულო, წარემართე იქ, სადაც განმზადებულია შენთვის სრული სასყიდელი. მიიღე გვირგვინი დიდებისა იმ კაცთმოყვარული შრომისათვის, რომლითაც განვლე შენი სიცოცხლე. უამბე შენ სახელოვან და მამულის მოყვარულ წინაპარებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მადრიელ შთამომავლობას აღსოვს მათი ღვაწლი, სამშობლო ეკლესია ლოცვა-კურთხევით იხსენებს მათ სახელებს და იგი სამშობლო, რომლის ბედნიერებისათვის დაკლოულ იქმნენ იგინი ტარიგებათ, იმყოფება დღეს მყუდროებაში და დასდგომია წარმატების მტკიცე გზას. ამინ.

არხიმანდრიტი ლეონიდე.





## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამუნოებასა და კეთილზნეობაზე

ხმა მოძღვრისა სამწესოსადმი

საუბარი მამამსა.

ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვძლიოთ მათ?

და აჰა ესე რა, აღძრვა იყო დიდ ზღვას შინა, ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელვათაგან (მათ. 8, 24).

ჩვენი სული, რომელსაც გარს არტყია მრავალი ვნებანი, ათას გვარი განსაცდელი და საშიშროება, ნამდვილად ემზავსება ნავს, რომელსაც ფარავს წყლის ტალღები, იგი მზგავსია ხოლმადისა, რომელსაც მოასწრო საშინელმა ქარიშხალმა და ყოველს წამში უქადის დამხობას. ვინც კი დაუკვირდება თავის გონების და გულის მოქმედებას და მოძრაობას, იმან გამოცდილებით იცის, რომ ქრისტიანე კაცის ცხოვრება ქვეყანაზე არის განუწყვეტელი ბრძოლა. მაგრამ ჩვენ დროში იშვიათი არიან ის მორწმუნე ქრისტიანები, რომელნიც, წმიდა მამათა მზგავსად, განუწყვეტლად ზრუნავდენ თავის სულზე და არას დროს და არას შემთხვევაში არ ივიწყებდენ მასს. ორი შემთხვევა, ძმანო ჩემო საყვარელო, ძლიერ მაშინებს და მაწუხებს მე: ერთის მხრით სიმრავლე და ძალა მტერთა, რომელნიც ჩვენ გარს გვარტყიან და მეორეს მხრით ჩვენი მოსვენებულება

ამ განსაცდელთა შორის. მრავალნი ქურდნი არტყიან თქვენს სახლს; მე შიში მაქვს თქვენი ქონებისა და სიცოცხლისა: მე უფრო იმიტომ ვშიშობ, რომ თქვენ ამ საშიშარს დროს მოსვენებით განისვენებთ თქვენს ლოგინზე, და სრულებით არ ცდილობთ, რომ თავი დაიფაროთ გარე მოსეულ მტერთაგან.

თვალი გადავაგლოთ ჩვენი ცხოვრების მტერთ, პირველად გავიცნოთ ისინი, და შემდეგ გამოვიკვლიოთ, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მათ.


### I.

ნამდვილი ჩვენი მტერნი ისინი კი არ არიან, რომელნიც ლაქსა სცხებენ ჩვენს კეთილ სახელს, გვტაცებენ ქონებას, მზათ არიან მოგვისპონ სიცოცხლე. ესეები მხოლოდ იარაღია, რომელსაც ხმარობს ღვთის განგებულება ჩვენ გასასწორებლად; ეს უბედური შემთხვევები გვაძულებენ გამოვიჩინოთ სიწყნარე, მორჩილება, სიყვარული და მოთმინება; და რომ ჩვენ ცოტა ოდენი სასწამუნოება გვქონდეს, ამ ჩვენ მტერთ ნაცვლად სიძულვილისა შევიყვარებდით. ნამდვილი ჩვენი მტერნი არიან ისინი, რომელნიც ცდილობენ შეაღწინონ ჩვენი სული და ამით მოაკლონ მას მადლი ღვთისა, განაშორონ იგი ღმერთს და ჩააგდონ ჯოჯოხეთში. ეს მტერნი ფრიალ საშიშარნი არიან! ჩვენ ვხედავთ მათ ჩვენ შიგნით და გარეთ, მარჯვნივ და მარცხნივ, ყოველივეში და ყველგან. იგინი იმყოფებიან ჩვენში; და თუ შენ მათ ვერ სცნობ, ნება მომე, ჩემო საყვარელო შვილო, ჩავიხედო შენს გულში და, სახელდობ, დაგისახელო ისინი, მერე ორივემ ერთად გავარჩიოთ ისინი, რომ შენ კარგად შეიტყო შენი შინაური მტრები.

პირველად თვალი გადაავლე შენს უგნურ სიყვარულს და შენი სხეულის სიამოვნებას; შენ შენს გულში თავს იქებ შენი მცირე ღვაწლით, შენი სიმდიდრით, შენი ნიჭით, შენი მეგობრებით, შენი ნათესავებით; სხვაები გეზიზღებიან, და შენს თავს შენს ამხანაგებზე ზევით აყენებ და გსურს გაუთანასწორდე მათ, რომელნიც შენზე უმაღლესნი არიან.

პატარა მამული, რომელიც შენ შეიძლება, უკანონოთაც შეიძინე, და რომელმაც დაგავიწყა შენ შენი უწინდელი სიღარიბე; სამსახური, რომელიც შენ ხელთ იგდე და რომელსაც, ღმერთმა უწყის, როგორ ასრულებ; გარეგანი შეხედულება,





რომელიც შენ ღმერთმა მოგცა და რომლითაც შენ სხვებზე უფრო იწონებ თავსა; ტანთ საცმელი, რომლითაც შენ მდიდრულად ხარ მორთული; ყოველივე ესეები და სხვა ამისი მზგავსნი საგნები, ბადებენ შენს სულში მედიდურობას, რომელიც იხედება შენს ლაპარაკში და მიხვრა-მოხვრაში. ყოველ ნაბიჯზე შენ უკან გდევს ამპარტავენება და დიდების მოყვარება.

შენი მეზობლის საქმეები თუ კარვად მიდიან შენსაზე; თუ მან მიიღო რაიმე ქონება, რომელსაც ის არ ელოდა; თუ მან მიიღო ხეირიანი მოგება; თუ მას აძლევდნენ იმ ადვილს, რომელიც შენ გსურდა; თუ მან მოიგო ის საქმე, რომელსაც შენ ეღაპრებოდი: ყველა ამანებისათვის შენ გული გისქდება, შენ წითლდები და ყვითლდები; შენი პირის სახის გამომეტყველება, შენი სიტყვა-პასუხი, შენი სიჩუმე ცხად ყოფენ შენს მწუხარებას, რომელიც შენ ვაფრთხობენ. პირ იქით თუ მათ შეემთხვა რაიმე უბედურება და მათი საქმე ცუდათ წავიდა; მაშინ შენ ძალას ატან შენს თავს, რომ არ შეგამჩნიონ სიხარული, რომელიც შენში აღძრა შენი მეზობლის უბედურებამ. ეს უბედურება იმდენად გამხიარულებს, რამდენათაც შენი მეზობლის ბედნიერება გაწუხებს შენ. ხედავ თუ არა, გრძნობ თუ არა, რომ შური გაწუხებს შენ და მოსვენებას არ აძლევს შენს სულს?

შენ არა გსურს შეხვდე და იხილო ის კაცი, რომელმაც შენ გაწყენია, შეიძლება განუზრახველად, ან და შეიძლება სრულებითაც არ უწყენინებია; შენ მუდამ მასზე ცუდს ლაპარაკობ; შენ მუდამ იმას ცდილობ, რომ დაღუპო ის შენი სიტყვით და ან სხვა რამე გზით; შენ მომეტებულად სიამოვნებ, როცა გესმის, რომ ამ კაცზე ცუდს ლაპარაკობენ; შენ არ სიამოვნებ და ბოღმა მოგდის, როცა მასზე კარგს ლაპარაკობენ; შენ ყოველივე ღონეს ხმარობ, რომ გააქრო იგი და ზარალი მიაყენო. ხედავ თუ არა, გრძნობ თუ არა, რომ შურის ძიება, სიძულილი და ბორბობა თან გდევნიან შენ და მოსვენებას არ გაძლევენ?

შენი გონება დღე და ღამე ფიქრობს შენს საქმეებზე; შენ ფიქრობ მარტო ფულზე. ლოცვის დროს და ხშირად ტაძარშიაც კი, შენ ფიქრობ მხოლოდ იმაზე, თუ რა საშუალებით კიდევ მომეტებული შემატო შენს ქონებას, სად უნდა წახვიდე და რომელი პირები უნდა ნახო და რაზე უნდა მოელაპარაკო მათ. ცოტა ოდენი მოგებისათვის შენ მზად ხარ ასი

ვერსი გაიარო, და კეთილი საქმისათვის ფეხის გადგმა გეზარება. თუ რაიმე მოგებას ან ზარალს ელი, შენ აღარ გახსოვს აღარც დღესასწაულები და აღარც კვირა დღეები; შენ ვერ გაჩერებს ვერც ღვთის მცნება და ვერც ეკლესიის ტიბიკონი. ხედავ თუ არა, გრძნობ თუ არა, რომ ვერცხლის მოყვარება ხრავს შენს გულს, გაწვალებს შენ, გაბრმავეებს და გამზადებს ჯოჯოხეთისათვის?

გარდა ამისა შენ გაქვს კიდევ ერთი მეტად ცუდი ჩვეულება: შენ მუდამ მზად ხარ თვალი ადევნო სხვის საქციელს და აუგო იგი. ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში ეჩრები ისეთ საქმეებში, რომელიც შენ არც კი შეგეხებია, დადიხარ ერთი სახლიდან მეორეში, შემდეგ ლაპარაკობ, რაც იქ გითხრეს და არ გითხრეს, რაც იცი და არ იცი, მზად ხარ შენი აზრი გამოსთქვა ყოველი საგნის შესახებ. რას ნიშნავს ეს შენი ფრიალ ცუდი ჩვეულება? ასეთი ჩვეულება ემზგავსება ეშმაკს, რომელსაც დაუპყრია შენი ენა და მას ხმარობს იარაღად, რომ ამით შეარყიოს მყუდროება შენი და შენი ნაცნობებისა, რომელნიც, საუბედუროთ, გიცნობენ შენ და ან იმავე ქალაქში ცხოვრებენ, სადაც შენ.

განა შენ არ გაწუხებს შენი ავხორცობა და მთლად შეპყრობილი არა ჰყავხარ მას, როცა შენი გონება, შენი ფიქრი და გული დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე შეპყრობილი არიან სასირცხო ფიქრებით, უწმიდური სურვილებით; როცა შენი მხედველობა ასე ხშირად, ხან შენი სურვილის წინააღმდეგ, მიპყრობილია ისეთ საგნებზე, რომელნიც შენ გაცდენენ და გრყენიან. შენ მუდამ მზად ხარ მოისმინო და იბაასო ისეთ საგნებზე, რომელნიც შეგეხებია სხეულის სიამოვნებას.

აი, ჩემო შეილო, შენი მტერნი, რომელთა შესახებ შენ არც კი ფიქრობ და რომელთაც სრულებით არ ერიდები. გამოსცადე შენი გული: ეს მტერნი მასში არიან დამალულნი. მე მხოლოდ დაგისახელებე ისეთები, რომელნიც უფრო თვალსაჩინო არიან. რამდენათ უფრო გამოიძიებ მათ, მით უფრო ბევრს გამონახავ. როგორც ზღვის ძირი სავსეა სხვადასხვა დიდი და პატარა თევზებით, მზგავსად ამისა კაცის გულში იფარება მრავალი ცუდი მისწრაფებანი, რომელთაგან ზოგი ძლიერნი არიან და ზოგნიც სუსტნი, მაგრამ ყველანი კი თანასწორად მაინებელნი არიან, რადგან თითოეულს მათგანს შეუძლია ჩვენი



დალუპვა, თუ ჩვენ საშუალებას არ ვიხმართ და არ მოვსპობთ მათ ჩვენს გულში.

გარეგანი მტერნი უერთდებიან შინაურ მტერთ, აძლიერებენ მათ, აძლევენ მათ იარაღს, რათა უმეტესად გავნონ თქვენ. ყოველივე ქმნილება გაჩენილია ღვთისაგან ჩვენდა სასარგებლოდ და ხელს გვიწყობენ ჩვენ ჩვენი ცხოვრების საქმეში, მაგრამ ესევე ქმნილებანი ხშირად გვაგდებენ ცოდვაში ჩვენი ბოროტი მიდრეკილებისა გამო.

სიღარიბე, უბედურება და მწუხარება სასოწარკვეთილებაში გვაგდებენ ჩვენ, ან აღძრვენ ჩვენში დრტვინვას ისე, როგორც სიმდიდრე, პატივის ცემა და კეთილ დღეობა გვავეწყებს ჩვენს მოვალეობას და თავის თავს. რა მდგომარეობაშია ცუნდა ვიყოთ, რომელ მხარისკენაც უნდა წავიდეთ, ყველგან ვხვდებით ცთუნების საგნებს, მტერთ, რომელთაც უნდა ვეჩხუბოთ. აქ ცუდი ლაპარაკი გვესმის და გვრყენის, იქ ცუდი მაგალითები გვიზიდავენ; აქ ცუდი წიგნები რყენიან ჩვენს გონებას, იქ ცუდი საზოგადოება ხრწნის ჩვენს გულს.

ამიტომ მღვიძარებთ, თუ გძინავთ, ჭამთ თუ სვამთ, შრომობთ, თუ მოსვენებული ხართ, თქვენ უნდა ერიდოთ თქვენ მტერთ, რომელთაგან თქვენ მოგელის ცთუნება. ერთმანეთთან მისვლა-მოსვლის დროს, შესაფერი დროების ტარების დროს, თვით კეთილის მომქმედ პირებთან, თქვენს წმიდა სამსახურში და ყველა თქვენს კეთილ საქმეებში, თქვენს ლოცვაში, თქვენს აღსარებაში, თქვენს ზიარებაში, თქვენს მარხულობაში, თქვენს მოწყალებაში: ყველა ამაებში თქვენ გვხვდებით ცოდვა, სასტიკი ცთუნება, მტერნი, რომელთაც უნდა ებრძოლოთ; და თუ თქვენ მათ ვერ ხედავთ, ეს იმიტომ, რომ არ გინდათ ამაებს ყურადღება მიაქციოთ.

ბოროტი სული, რომელსაც მიზნად აქვს ჩვენი დალუპვა, მუდამ ჩვენი სულის მახლობლად არის, რომ თავის კლანჭებში ჩაიგდოს იგი. ჩვენი ცთუნებისათვის იგი ხმარობს ყოველივეს, რაც კი ჩვენ გარს გვარტყია და ყველგან მახეს გვიგებს. იგი საოცრად სარგებლობს ჩვენი თავმოყვარებით და ბოროტისადმი ჩვენი მიდრეკილებით. იგი სწავლობს ჩვენს ხასიათს, იგი ტყობილობს ჩვენს მიდრეკილებას და ჩვენი გულის ლტოლვილებათა. იგი დარბის ლომივით, და თავს გვესმის ხილულად; ხან როგორც გველი ისე გვეპარება, და შეუნიშნავად ასხამს ჩვენს

სულში თავის გესლს. ხან ბრწყინვალე ანგელოზივით მოგვეჩვენება და რაც უნდა უმანკონი ვიყვნეთ, მაინც გვაცდენს. მისი ვერაგობა, ეშმაკობა და მზაკვრობა მხოლოდ მათ უწყიან, ვინც მათ წინა აღუდგებიან. აი ეს არის ჩვენი საშინელი მტერი, რომელიც ამოქმედებს ყველა დანარჩენთ.

ამ გვარნი არიან, ძმანო ჩემნო საყვარელნო, მტერნი ჩვენი ცხოვრებისა! ეხლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, უნდა გვეშინოდეს მათი თუ არა? გაიხსენეთ გონებაში თქვენი ცხოვრების ყველა წლები და ცხადათ დაინახავთ, რომ სიყმაწვილიდან მოკიდებული თქვენ იყავით მსხვერპლი და მონა ეშმაკისა და თქვენ ვნებათა. ვინ მოსთვლის ყველა იმ განზრახვათა, რომელთაც ბოროტი სული შეგაგონებდათ თქვენ, ყველა იმ სახეთა, რომლითაც სურდა მას თქვენი გულის ზრახვის შეცდენა.

რომ ჩვენ უკვირდებოდეთ ჩვენს თავს და ვზრუნავდეთ ჩვენი სულის ცხოვრებაზე, მაშინ ცხადათ დავმტკიცდებოდით იმ სიტყვების სინამდვილეში, რომელთაც ამბობს წმიდა მოციქული იოანე: „რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა, ესე არს გულის-თქმა ხორცთა და გულის-თქმა თვალთა და სილაღე ამის ცხოვრებისა, და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი. არს“. თვითონ ჩვენს სხეულში არის თესლი ყველა ბიწიერებათა; „არამედ კაცად-კაცადი განიცდების თვისაგან გულის-თქმისა, მიიზიდვის და ჰსტოების“ (იაკობი 1, 14). ყოველივე, რაც ჩვენ გარს გვახვევია, შეიძლება გახდეს ჩვენი შეცოდების მიზეზად; ეშმაკი, რომელსაც სწყურია ჩვენი დალუპვა, სარგებლობს ხან ჩვენი ცუდი მიდრეკილებით, და ხან ღვთის ქმნილებით, რომ აღძრას ჩვენში ცუდი გულის თქმანი.

თქვენ რომ ყოველივე ამას კარგათ შეიგნებდეთ, მაშინ წმიდა პავლე მოციქულთან ერთად ღალადყოფდით: „უბადრუკი მე ესე კაცი! ვინ მიხსნას მე ხორცთა ამათგან ამის სიკვდილისათა?“ (რომაელ. 7, 24), რომელიც, თითქო, მხოლოდ იმისათვის მაქვს მოცემული, რომ მაწვალოს და გამაქროს მე და ჩემთვის წარმოადგენს ყოველივე მწუხარების წყაროს. ანუ წმ. ჯავით მეფესთან ერთად ღალადყოფით: „ვინ მომცეს მე ფრთენი, ვითარცა მტრედისანი? და აღფრინდეს მე და განვისვენო და განვეშორო (ფსალ. 54, 6) ამ უბედურ ქვეყანას, სადაც მე ყოველგან ვხვდავ სხვა-და-სხვა განსაცდელთა?“





# ◆ ბანსხალბა ◆

ყოველივე ის, რასაც ვხედავ, რაც მესმის, რასაც ვლაპარაკობ, რასაც ვაკეთებ, მიმიზიდავს მე ბიროტისადმი. როცა სტოლზედ ვზივარ, მე მაწუხებენ გრძობანი, გაუმადლობა; როცა მოსვენებული ვარ, მე მაწუხებს მოუფიქრებლობა, გაფანტულება, უბრალო და უსარგებლო საუბარი; როცა ვმუშაობ, - მე მაწუხებს ვეცხლის მოყვარება, დიდების მოყვარება და შური. უბედური შემთხვევის დროს მე მოუთმენელი ვარ; ბედნიერების დროს ამპარტავანი; ქება ამაყებს ჩემს გულს; შეურაცხება ჰბადავს ჩემს გულში სიბრაზეს: ერთი სიტყვით, ყველგან ცოდვის მახე გვიგია.

აი ამისი ეშინოდათ, საყვარელნო ძმანო, იმ წმიდა დიდ მამებს; ეს იყო მიზეზი, რომ უდაბნოებში ასე ბლომად ესახლებოდნენ მუღაბნოენი. ეს იყო მიზეზი იმ დიდი ლოცვა-ვედრებისა, მარხვისა და გამარტოებული ცხოვრების სიძველე, რომელიც ჩვენ გვარიგებს და გვაოცებს და რომელსაც დღესაც ვხედავთ ზოგიერთ სავანებში, სადაც დაცულია მათი თავ-დაპირველი მიმართულება; სადაც გულსმოდგინება და მორჩილება ძმათა ცხადთ გვიხატვენ თვალ წინ სიწყნარეს, სიღარიბეს, თავ განწირულებას, თავის თავის მოკვდინებას და პირველ განდევილთა საკვირველ და ანგელოზურ ცხოვრებას.

პირველი დროის განდევილნი მუღამ მღვიძარებდნენ, ლოცვილობდნენ, შიშობდნენ და ამას ჩადიდებდნენ ყოველ დღე, ყოველს წამს უკანასკნელ სულის განტევების დრომდე; ჩვენ კი, რომელთაც გარს ათას გვარი განსაცდელი გვადგია, მოსვენებით ვართ, არავითარიმე ზომებს არ ვხმარობთ, თითქო საშიშო არაფერი არა გვაქვს. ისე შევეჩვიეთ ჩვენ მტერთა შორის ცხოვრებას, რომ ჩვენ სრულებით ფიქრათ არ მოგვდის მათგან თავი დავიფაროთ. არაფერზე არ ვზრუნავთ, ადვილად ვებმებით ეშმაის ყველა მახეში.

მე გიჩვენეთ თქვენ ჩვენი ცხოვრების მტერნი: ახლა საჭიროა გასწავლოთ თქვენ, თუ როგორ უნდა ებრძოდნოდნოთ მათ და სძლიოთ. ამაზე ლაპარაკი შორის წაგვიყვანს ეხლა და ამიტომ ამაზე შემდეგში მოგვლაპარაკებთ. დღეს დავასრულებ ჩემს საუბარს წინასწარმეტყველი დავითის სიტყვებით: «განანათლენ თვალნი ჩემნი, ნუ უკვე დავიძინო მე სიკვდილდ. ნუ სადა თქვას მტერმან ჩემმან მრე ვეყავ მას, მაჭივრებელნი ჩემნი იხარებდნენ შეთუ ვიძრა, ხოლო მე წყალობასა შენსა ვესაუგ». აი, შეიღონო ჩემნო, საშუალებანი, რომელნიც გვიჩვენა ჩვენ თვით იესო ქრისტემ.

ჩვენ განვიძრახეთ **მ. ჰოდოვოზოვის** წიგნის გადმოღება და ქართულს ენაზედ მისი დასტამბვა; წიგნს ეწოდება სახელად:

## „**როგორა ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე**“.

რადგანაც ჩვენი განზრახვა ფულის მოგება არ არის, ამიტომ გავებდავთ და ჰივმართავთ პატივცემულ ქართველ საზოგადოებას თხოვნით, რომ დაგვეხმარონ ამ საქმეში. **მ. ჰოდოვოზოვის** წიგნი არის სულ 14 სხვა და სხვა ტომის ხალხის ცხოვრების აღწერა. ჩვენ ვიღებთ მხოლოდ **სხრა საუკეთესო წიგნებს, რომელიც ჩვენს ქართველ მკითხველთათვის დიდად სასარგებლო და საინტერესო უნდა იყოს.** ჯერ-ჯერობით გვსურს სამი წიგნის გამოცემა:

### ◆ ინგლისელები, გერმანელები და ფრანგები. ◆

მართი წიგნი უკვე მზათა გვაქვს დასაბეჭდათ; — თითოეული წიგნი ეღირება 40 კ. ვინც ფულს წინდაწინ შემოიტანს, იმას სამივე დაეთმობა ერთ მანეთად, ე. ი. როგორც დაჯდება სამი წიგნი ერთად. წიგნი იქნება დიდი ფორმატისა და კარგს ქალაქებზედ დასტამბული 180—220 გვერდამდე და იქნება ყველა დასურათებული. თითო წიგნში იქნება 6—10 სურათამდე. წიგნი ითარგმნება **ბ ნ ა.** ნიკიტინის მიერ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება უყურადღებოთ არ დაგეტოვებს და ჩვენ მიერ განძრახულ საქმეს სისრულეში მოგვაყვანიებენ, რისთვისაც ამ თავიდანვე დიდს მადლობას ვწირავთ.

### გამოცემა იქნება ახან. „გლახისა“.

მსურველთ ხელის მოწერა შეუძლიან შემდეგ ადგილებში:

თბილისში **ბ-ნ** ზაქარია ჭიჭინაძესთან, ბორში — მკვთიმე ძობლატაძესთან, ხაშურში — სტეფანე ნოზაძესთან, ჭიათურაში — მრმალოზ ძიწმარაიშვილთან და ბერასიმე ბერიძესთან, საჩხერეში — იასონ ლამ-



ბაშიძესთან, შორაპანში—რაუდენ ბაჩეჩილაძესთან, შვირილაში—ილია მალლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან, მზურგეთში—ლადიკო ჩხაიძესთან, შუთაისში—თეოფილე ხუსკივაძესთან. ბეჟანეშვილის და შილაძის წიგნის მალაზიებში, და მიტრაფონე ლაღიძესთან, ახალ-სენაკში—ძ. თივართქილაძის წიგნის მალაზიაში, ბათომში—მიხელ ბაჩეჩილაძესთან, სოხუმში—მამა ბესარიონ ხელიასთან და ძარპეზ წეროძესთან, ბუღაუთში—ბაგრატ მჭედლიძესთან, ნოვოროსისკში—სილოვან ძალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მალაზიებში.

ვისაც ესურვება პირდაპირ ფულის გამოგზავნა, იმან უნდა გამოგზავნოს ამ აღრესით: *Ватумъ, Михаилу Гачешидзе.* პეტანცია ყველას ფულის მიღებისთანავე გაეგზავნება.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ კვირულ ბამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

ღ

რუსულ «П А С Т Ы Р Ъ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „რუსული „ 3 მ.	— „რუსული „ 2
— „ორივე გამოცემა 5 >	— „ორივე გამოცემა 3

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეარიალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარაქან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. ახალსენაკში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლაჩით გაზეთები დაფუძნებით მთელის წლით ორივე გამოცემა სამსახურად. რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეარიალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთა ქურნალის დაბარება შეუძლიან ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

კარძო საავთმყოფო ავგულატორითურთ

ს. ბ. თოფურიანი

ქ. ქუთაისში.

სავთმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამღები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს მმ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ შარდით და სიფილისით მმ. ვ. კ. ბერაბი.

დედაბაცურ ავთმყოფთა და საბებიოს ქალი მმ. მ. ვ. კახანი.

თვალების ავთმყოფისათვის მმ. ი. კ. ვარშავსკი.

ჩიკვა დარბების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავთმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აწერაცის ფასი კარბებახეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურიანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლაბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 мая 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е в с.

Типог. редакція журн. „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.